ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეფექტიანობის აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე

23 დეკემბერი 2024 წელი

N 43/36

ეგზ.: N1

**გენდერული თანასწორობის
უზრუნველყოფა ზოგადი
განათლების სფეროში**

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები 5
შემაჯამებელი მიმოხილვა 7
1. შესავალი 15
1.1 აუდიტის მოტივაცია 15
1.2 აუდიტის მიზანი და ძირითადი კითხვები 18
1.3 შეფასების კრიტერიუმები 19
1.4 აუდიტის მასშტაბი 22
1.5 აუდიტის მეთოდოლოგია 23
2. ზოგადი ინფორმაცია 26
2.1 ზოგადი განათლება გენდერულ ჭრილში 26
2.2 ეროვნული სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალები 28
2.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გენდერულად
პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად 30
აუდიტის მიგნებები 32
3. ზოგადი განათლების სტრატეგიის გენდერული მეინსტრიმინგი 32
3.1 არსებული სიტუაციის ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან 33
3.2 მიზნების დასახვა და გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების დაგეგმვა 40
4. ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებში
გენდერული თანასწორობის ინტეგრირება 44
ეროვნული სასწავლო გეგმა 44
სასწავლო მასალების შემუშავება/ სახელმძღვანელოების გრიფირება 48
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გენდერულად
პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად 56
ბიბლიოგრაფია 62
საკონტაქტო ინფორმაცია 64
დანართები 65

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფექტიანობის აუდიტს ახორციელებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს ეთიკის სტანდარტების დაცვასა და აუდიტის უკეთესი საერთაშირისო პრაქტიკის გამოყენებას.

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

გენდერი[1] – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.

გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გენდერული მეინსტრიმინგი[2] – გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს სახელმწიფოს შესაბამის პოლიტიკებსა და პროგრამებში ქალებისა და კაცების მდგომარეობას, სიტუაციებსა და საჭიროებებს შორის განსხვავებების გათვალისწინებას. ეს არის პროცესი, რის ფარგლებშიც ხდება ყველა სფეროსა და ყველა დონეზე დაგეგმილი კანონმდებლობების, პოლიტიკებისა და პროგრამების შეფასება მათი ქალებსა და კაცებზე გავლენის მიხედვით. მისი საბოლოო მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა[3] – გულისხმობს სწავლა-სწავლების ისეთ პროცესებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს გოგოებისა და ბიჭების სპეციფიკურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის დროს მინიმუმამდეა დაყვანილი მასწავლებელთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა, დისკრიმინაციული მიდგომები და შექმნილია თანასწორი შესაძლებლობები. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის დანერგვაში პასუხისმგებელია როგორც უშუალოდ მასწავლებელი, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტი, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულ სპეციალისტებს პროფესიულ ზრდასა და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებაში შესაბამისი შიდა საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებითა თუ მატერიალურ-აკადემიური რესურსების მიწოდებით.

გენდერულად ნეიტრალური ენა[4] – კომუნიკაციის საშუალება, რომელიც არ ახდენს დისკრიმინაციას კონკრეტული სქესის ან გენდერული იდენტობის მიმართ და არ განამტკიცებს გენდერულ სტერეოტიპებს.

გენდერული სტერეოტიპი[5] – წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს მოკლებულ, ზედმეტად განზოგადებულ დასკვნებს, შეხედულებებს ქალების/გოგოების ან მამაკაცების/ბიჭების მიმართ. სტერეოტიპები შეიძლება გამოხატავდეს ქცევის, ემოციის, კოგნიტური, ფიზიკური და ა.შ. შესაძლებლობების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას. ეს არის ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი დამოკიდებულება, რაც გავლენას ახდენს ჩვენს ქცევებზე სხვების ან საკუთარი თავის მიმართ. გენდერული სტერეოტიპების მაგალითები: „ბიჭები უფრო ჭკვიანები,

---

1 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“.

2 ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის (EIGE) განმარტება. https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1185

3 გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკოსებისთვის „გენდერულად პასუხისმგებლობიანი პედაგოგიური პრაქტიკა“ , World Vision – საქართველოს ფონდი.

4 გაერთიანებული ერების განმარტება.

5 გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკოსებისთვის „გენდერულად პასუხისმგებლობიანი პედაგოგიური პრაქტიკა“ , World Vision – საქართველოს ფონდი.

მაგრამ ზარმაცები არიან, ვიდრე გოგოები", „ქალს ყველაზე კარგად საოჯახო საქმე გამოსდის", „სპორტი კაცის საქმეა" და სხვ.

ჰორიზონტალური სეგრეგაცია – ქალებისა და მამაკაცების კონცენტრაცია სხვადასხვა სექტორსა და პროფესიაში.[6]

ვერტიკალური სეგრეგაცია – ქალებისა და მამაკაცების კონცენტრაცია სხვადასხვა კლასებში, პასუხისმგებლობის დონეზე ან თანამდებობებზე.[7]

ესგ – ეროვნული სასწავლო გეგმა.

რეცენზენტი – პირი (მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ფილოლოგი (ქართული ენის), ფსიქოლოგი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირი/ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი ან სხვა სპეციალისტი), რომელიც შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით ახორციელებს ახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირებას.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ცენტრი – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

UNESCO (The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია.

STEM (science, technology, engineering and mathematics) – მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა.

PISA (Programme for International Student Assessment) – მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა.

6 ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის (EIGE) განმარტება.

7 ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის (EIGE) განმარტება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა განათლების სფეროში ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაბიჯია სოციალური სამართლიანობის, ინკლუზიისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის. განათლება არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების გადაცემის პროცესია, არამედ ის არის საფუძველი მომავალი თაობის ფორმირებისთვის, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს.

გენდერული თანასწორობა განათლებაში ხელს უწყობს რომ ყველა ბავშვს, განურჩევლად სქესისა, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა – მიიღოს ხარისხიანი განათლება. აღნიშნული უზრუნველყოფს გენდერული სტერეოტიპების დაძლევას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა, STEM და აძლიერებს გოგოების წვდომას მაღალანაზღაურებად პროფესიებზე. კვლევებით დადასტურებულია, რომ გენდერული უთანასწორობის შემცირებას STEM განათლების მიმართულებით, შეუძლია ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე უთანასწორობის შემცირებას, გაზარდოს ქალთა დასაქმება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ასევე შეამციროს პროფესიული სეგრეგაცია. საბოლოო ჯამში ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, როგორც მაღალი პროდუქტიულობის, ასევე შრომის ბაზრის მზარდი აქტივობის გზით.[8]

მიუხედავად ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა, არსებობს გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას, კერძოდ:

- საქართველოს განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა ტრადიციული შეხედულებები გაუცნობიერებლად ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს საკლასო ოთახში;[9]
- გამოწვევებია სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული შინაარსის ინტეგრირებისა და, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით;[10]
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის, PISA-ის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გოგოები უკეთეს შედეგებს აჩვენებენ (აღწევენ), ვიდრე ბიჭები, თუმცა მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით გოგოები ნაკლებად არიან წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში მოიცავს სხვადასხვა საკითხის დანერგვას პრაქტიკაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ზოგადი განათლების სფეროში განათლების სტრატეგიის შემუშავების პროცესი, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

---

8 Closing the gender gap in STEM education can foster economic growth, European Institute for Gender Equality (EIGE). https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/2017.2082_mh0217177enn_pdfweb_20170803123353.pdf

9 გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, UNDP. https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO.pdf

10 წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2020122517134623546.pdf

აუდიტის ობიექტებია:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

აუდიტის პერიოდი მოიცავს 2018-2023 წლებს. ანალიტიკური მიზნებისთვის, ასევე ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნა აუდიტის ძირითადი პროცედურების დასრულებამდე არსებული პერიოდი.

გენდერული მეინსტრიმინგი განათლების სტრატეგიაში

გენდერული მეინსტრიმინგი ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის განათლების სტრატეგიაში და სტრატეგიული დაგეგმვისას მოიაზრებს გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რომელებიც უნდა გადაიჭრას მოცემულ კონტექსტში (სტრატეგიის ან პროგრამის ფარგლებში).[11]

აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტრატეგიული[12] დაგეგმვის პროცესში ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემების იდენტიფიცირება და გენდერული საკითხების გათვალისწინება არ არის სრულყოფილი. საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული გენდერული ანალიზი, როგორც კრიტიკული კვლევის მეთოდი სტრატეგიის შემუშავებისას, ნაკლებად არის წარმოდგენილი აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებისას, რის გამოც სათანადოდ ვერ დაიგეგმა ზოგად განათლებაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებები.

სტრატეგიის შემუშავებისას სამინისტროს მიერ გენდერული თანასწორობის მიმართულებით პრობლემები და გამოწვევები იდენტიფიცირებულ იქნა მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რაც გენდერულ ჭრილში დამატებითი ანალიზების გარეშე, არ მოიცავს პრობლემატიკის სრულ სპექტრს და არ ადგენს მათ გამომწვევ ფაქტორებს , რაზეც შემდგომ მიმართული უნდა იყოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

აღნიშნულს ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული მოსწავლეთა გამოკითხვების ანალიზი, რითაც გამოვლინდა სკოლის დონეზე გენდერული თანასწორობის ის საკითხები, რომლებიც სამინისტროს მხრიდან საჭიროებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

როგორც დიაგრამა 1-შია მოცემული, გოგოების უკეთესი აკადემიური შედეგები STEM მიმართულებებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), არ განაპირობებს მათი ჩართულობის ზრდას ამ სფეროებში. გოგოებს გააჩნიათ დაბალი ინტერესი/მოტივაცია, რაც აიხსნება გენდერული სტერეოტიპებითა და კულტურული ფაქტორებით, რომლებიც ხელს უშლის მათ პროფესიულ წინსვლას STEM-ის მიმართულებით.

---

11 Guide For Gender Mainstreaming In the Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies, UN Women, Sweden Sverige.

12 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტი.

დიაგრამა 1. გამოკითხული მაღალი შეფასების მქონე მოსწავლეები სქესის მიხედვით და მაღალი შეფასების მქონე გოგოებსა და ბიჭებში სწავლის გაგრძელების სურვილი STEM მიმართულებით



მიუხედავად აღნიშნულისა, იმ გოგოებიდან, ვისაც დიდი ინტერესი აქვს STEM საგნების მიმართ, 71%-ს სურს სწავლის გაგრძელება სკოლის დასრულების შემდგომ აღნიშნული მიმართულებით. გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ დიდი ინტერესის შემთხვევევაში 35%-დან 71%-მდე იზრდება გოგოების სწავლის გაგრძელების სურვილი STEM მიმართულებებზე.

აუდიტის ჯგუფმა ასევე გამოიკვლია, თუ რა მხარდაჭერა ან რესურსი დაეხმარებოდათ მოსწავლეებს, რომ სკოლაში უფრო მეტი ინტერესი ჰქონოდათ STEM-ის მიმართულებით.

გრაფიკი 1. სხვადასხვა სახის მხარდაჭერა ან რესურსი, რაც მოსწავლეებს დაეხმარებოდათ, რომ სკოლაში უფრო მეტი ინტერესი ჰქონდეთ STEM-ის მიმართულებით



ამასთანავე, მოსწავლეთა გამოკითხვით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა გადამზადება გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, კვლავ რჩება აუცილებელ ამოცანად, რადგან მათი მხრიდან გენდერული სტერეოტიპები გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესზე, ისე მოსწავლეთა მოტივაციაზე.

დიაგრამა 2. მოსწავლეთა აზრი მასწავლებელთა მხრიდან დამოკიდებულებებზე



2022-2030 სტრატეგიის დოკუმენტში სამინისტროს მიერ განსაზღვრული მე-2 სექტორული პრიორიტეტი არის თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული მიზნის ამოცანები და მის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები ნაკლებად პასუხობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ზოგად განათლებაში არსებულ საჭიროებებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გენდერული თანასწორობის ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია განსახორციელებელ ანალიზებში გენდერული ანალიზის სათანადო ინტეგრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტრატეგიული დაგეგმვისას გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების სრულყოფილად იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა.

გენდერული თანასწორობის ინტეგრირება სასწავლო გეგმებსა და მასალებში

ეროვნული სასწავლო გეგმა კარგი შესაძლებლობაა განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მეტი ფოკუსირებისთვის. საერთაშორისო პრაქტიკით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება მოიაზრებს პოლიტიკური ნების არსებობას, აღნიშნულ პროცესში შესაბამისი გენდერული ექსპერტიზის მქონე პირ(ებ)ის ჩართვასა და სხვა ჩართული პირების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის გამოყენების წახალისებას, სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადო ინტეგრირებას შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.[13]

13 Mainstreaming Gender Equality in Curricula and Teaching and Learning Materials, UNESCO.

სამინისტრო პასუხიმგებელი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებასა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირებაზე.[14] შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების პროცესის ნაკლოვანებები, რის გამოც ეროვნულ სასწავლო გეგმაში სათანადოდ ვერ აისახა გენდერული საკითხები.

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის გადასინჯვის პროცესში არ იყო ჩართული გენდერული ექსპერტი, ხოლო პროცესში ჩართული პირების გადამზადება გენდერული თანასწორობის მიმართულებით არ განხორციელებულა. ეროვნული სასწავლო გეგმა პედაგოგებს სთხოვს სწავლა-სწავლება წარმართონ ინკლუზიურად, თითოეულ მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით, თუმცა ეს ზოგადი მოთხოვნა ვერ უზრუნველყოფს მასწავლებლების მხრიდან გენდერული საჭიროებებისადმი მისადაგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნებში განხორციელდა გენდერული თანასწორობის კომპონენტების ინტეგრირება. ამ ჯგუფში შედის სავალდებულო საგნები: „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და „მოქალაქეობა“, რომლებიც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ თანასწორობისა და ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით.

აღნიშნული საგნების სახელმძღვანელოების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა გამომცემლობის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში განსხვავებულად არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის საკითხები. აღნიშნული განსხვავებების მიზეზი გამომდინარეობს იქიდან, რომ ესგ-ის დოკუმენტის საგნის სტანდარტები სამიზნე ცნებებში პირდაპირ/უშუალოდ არ მიუთითებს გენდერულ თანასწორობას და არის განზოგადებული ცნებები, რომელთა ფარგლებშიც გამომცემელს აქვს საშუალება, მაგალითად, სასკოლო საგანში – „მოქალაქეობა“, ადამიანის უფლებების სამიზნე ცნება ისე დააკმაყოფილოს, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები საერთოდ არ იყო შეტანილი სახელმძღვანელოში.

უკეთესი პრაქტიკის გამოვლენის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების ფორმატით 2022 წელს შემუშავებული პროგრამა „ექიმის საათი“,[15] რომლის ფარგლებშიც უკეთესად არის ასახული საერთაშორისო კრიტერიუმით შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის გაწერილი გენდერული თანასწორობის საკითხები, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით შემუშავებული ზემოთ აღნიშნული საგნების სახელმძღვანელოებში.

ამასთანავე, სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია გრიფირების პროცესის სათანადოდ წარმართვა. გრიფირების პროცესში სხვა სპეციალისტის მიერ, გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული კრიტერიუმის საფუძველზე, სახელმძღვანელოების შეფასება მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

---

14 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის.

15 პროექტი ხორციელდება სულ 12 სკოლაში – თბილისსა და საგარეჯოში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით. გაკვეთილების ფარგლებში იფარება ურთიერთობებთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასა და თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა გრიფირების პროცესის გაუმჯობესების პოტენციალი, სასკოლო სახელმღვანელოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული კრიტერიუმი საჭიროებს დამატებით სახელმძღვანელო მითითებებს, რომლის არსებობაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს რეცენზენტთა მხრიდან კრიტერიუმის ფარგლებში გენდერული საკითხების სრულყოფილ/სათანადო შეფასებას და, მეორე მხრივ, ავტორთა ჯგუფს თავიდანვე მიაწოდებს დეტალურ ინფორმაციას, თუ რის გათვალისწინებას მოიაზრებს აღნიშნული კრიტერიუმი გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

როგორც გრაფიკ 2-შია ნაჩვენები, აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების საჭიროება გამოიკვეთა გამოკითხვის შედეგებით. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხული, რეცენზირების პროცესში ჩართული პირების უმრავლესობის აზრით, საჭიროა დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების არსებობა, სახელმძღვანელოებში აღნიშნული კრიტერიუმის უკეთ ასახვისთვის. ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობას სურვილი აქვს გაიაროს იმგვარი ტრენინგები, რომლებიც დაეხმარება მათ სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის კრიტერიუმის უკეთ ინტეგრირებაში.

გრაფიკი 2. გრიფირების პროცესში ჩართული მხარეების დამოკიდებულებები დამატებითი სახელმძღვანელო მითითებისა და ტრენინგების საჭიროებასთან დაკავშირებით



ამასთანავე, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიებისა და გრიფირების პროცესში ჩართული რეცენზენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს გარკვეული სახელმძღვანელოები/სერიები, რომლებსაც არ გაუვლია სხვა სპეციალისტის შეფასება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად

მასწავლებელთა გენდერული მიკერძოება შეიძლება შემცირდეს დამწყები და მოქმედი მასწავლებლების მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგმოდულების შესწავლამ აჩვენა, რომ არ არის შემუშავებული გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების ან/და გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის/სწავლების დამოუკიდებელი ტრენინგმოდული, რომლის ფარგლებშიც დაიფარებოდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკით გათვალისწინებული ყველა საკითხი და განხორციელდებოდა მასწავლებელთა სისტემური გადამზადება.

მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის პერიოდში ტარდებოდა რიგი ტრენინგები, რომლებიც ფრაგმენტულად მოიცავდა გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასაც. დადებითი გამონაკლისი იყო ტრენინგი – „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში“, რომელიც არსებითად მოიცავდა მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებისთვის გენდერული თანასწორობისთვის საკითხებს და რომელიც განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ერთჯერადად. აღნიშნული ტრენინგების მასწავლებლებისთვის შეთავაზების სიხშირის შესწავლითა და სამიზნე ჯგუფების დაფარვის ანალიზით განისაზღვრა რომ ტრენინგები არ ატარებს სისტემატურ და მასშტაბურ ხასიათს.

ცხრილი 1. განხორციელებული ტრენინგების სამიზნე ჯგუფების დაფარვა

ტრენინგმოდულის დასახელება	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოდული 6, თანასწორობის საკითხები	51%[16]	X	X	X	X	X
სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები მასწავლებლებისთვის	X	X	X	X	X	0.1%[17]
გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში[18]	X	X	X	X	3.4%[19]	X

მასწავლებელთა ტრენინგებში დაბალი ჩართულობა შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი არ მოითხოვს მასწავლებელთა მხრიდან გენდერული თანასწორობის კუთხით ცოდნის, ცნობიერების ან/და გამოცდილების არსებობას. გამონაკლისია სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც აღნიშნული კანონით მოეთხოვება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს მოსწავლის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა თავისებურებები (უნიკალურობა).

16 საჯარო სკოლის დირექტორები, სულ – 2086.

17 ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, სულ – 17 719.

18 ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა.

19 მასწავლებლები, სულ – 48 112.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N 1

სამინისტრომ განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების უკეთ ინტეგრირების მიზნით გააუმჯობესოს განათლების სტრატეგიული ამოცანების დასახვისა და ღონისძიებების დაგეგმვის მოქმედი პროცესი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად:

- განსაზღვროს გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ გამოვლენისთვის განსახორციელებელი აქტივობები;
- გენდერული თანასწორობის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს ზოგადი განათლების დონეზე ინიციატივები STEM საგნებში გოგოების მოტივაციის/ინტერესის გაზრდის მიზნით.

რეკომენდაცია N 2

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ უზრუნველყოს:

- ესგ-ის გადასინჯვა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გენდერის საკითხებში ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირ(ებ)ის ჩართულობითა და ასევე, პროცესში მონაწილე პირების ცნობიერების ამაღლება გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების კუთხით;
- საერთაშორისო კარგი პრაქტიკით დადგენილი მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფებისთვის, საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში შესაბამისი გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება.

რეკომენდაცია N 3

გრიფირების პროცესში სახელმძღვანელოების/სერიების გენდერული თანასწორობის ჭრილში შეფასების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს დამატებითი საგანმანთლებლო რესურს(ებ)ი (მაგალითად, როგორიცაა, სახელმღვანელო მითითებები, ტრენინგები და ა.შ.) პროცესში ჩართული პირებისთვის.

რეკომენდაცია სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

რეკომენდაცა N 4

მასწავლებელთა გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განხორციელების მიზნით, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად და თანასწორი განათლების პირობების შესაქმნელად, მიზანშეწონილია:

- მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის გადასინჯვა, რათა მასწავლებელთა მიმართ მოთხოვნებში გათვალისწინებულ იქნეს გენდერულად პასუხისმგებლიანი სწავლება;
- შეიქმნას სათანადო ტრენინგმოდული, რომლითაც მოცული იქნება საერთაშორისო პრაქტიკით არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად და აღნიშნულის საფუძველზე სისტემურად გადამზადდნენ მოქმედი მასწავლებლები.

1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა განათლების სფეროში არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაბიჯი სოციალური სამართლიანობის, ინკლუზიისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის. განათლება არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების გადაცემის პროცესია, არამედ ის არის საფუძველი მომავალი თაობის ფორმირებისთვის, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს.[20]

გენდერული თანასწორობის მიღწევა განათლებაში იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა ბავშვს, განურჩევლად სქესისა, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მიიღოს ხარისხიანი განათლება. როდესაც ბიჭებსა და გოგოებს თანასწორი პირობები აქვთ, ეს უზრუნველყოფს სამართლიან და ინკლუზიურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ განათლების მიღებას, არამედ პიროვნული ზრდის და განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

განათლების პოლიტიკაში მნიშვნელოვანია გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება,[21] რადგან ეს ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა, როგორც უმთავრესი პრინციპი, მხედველობაში იქნება მიღებული ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, პოლიტიკის შემუშავების პროცესის თითოეულ ეტაპზე, ყველა ჩართული მხარის მიერ.

მასწავლებლები, მათი კვალიფიკაცია, საგნობრივი ცოდნა და პედაგოგიური კომპეტენცია მიჩნეულია განათლებაში ხარისხის განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად. მასწავლებელთა პედაგოგიური საქმიანობა ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია მათი ვარაუდებითა და რწმენით გენდერის შესახებ (ცნობიერი და ქვეცნობიერი), რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მოსწავლეთა რწმენა-წარმოდგენასა და სწავლაზე.[22]

გარდა მასწავლებლებისა, განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია სასწავლო მასალების შინაარსიც, რომლებიც არა მხოლოდ სპეციალიზებულ საგნობრივ ცოდნას, არამედ ღირებულებებსაც გადასცემენ მოსწავლეებს, მათ შორის როგორც პირდაპირ, ასევე შეფარულ წარმოდგენებს გენდერის შესახებ.[23]

განათლების სისტემა და სკოლა ცენტრალურ როლს თამაშობს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) საგნების მიმართ გოგოების ინტერესის გაძლიერებისა და თანაბარი შესაძლებლობებისა და ხარისხიან STEM განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით.[24] კვლევებით დადასტურებულია, რომ გენდერული უთანასწორობის შემცირებას STEM განათლების მიმართულებით შეუძლია ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე

20 Gender Equality in Education, UNICEF.

21 https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/what-is-gender-mainstreaming

22 From access to empowerment UNESCO strategy for gender equality in and through education 2019-2025.

23 From access to empowerment: UNESCO strategy for gender equality in and through education 2019-2025.https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000369000

24 Cracking the code: girls' and women's education in science, technology, engineering and mathematics (STEM), UNESCO; https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000253479

უთანასწორობის შემცირებას, გაზარდოს ქალთა დასაქმება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ასევე შეამციროს პროფესიული სეგრეგაცია. საბოლოო ჯამში ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, როგორც მაღალი პროდუქტიულობის, ასევე შრომის ბაზრის მზარდი აქტივობის გზით.[25]

ზოგად განათლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება საქართველოს აღებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორებიცაა:

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW, რატიფიცირებულია 1994 წელს) – მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ ისინი მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების სფეროში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული საერთო წარმოდგენების აღმოფხვრა ყველა დონის და ყველა ფორმის სწავლებისას, ერთად სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და სწავლების მეთოდების ადაპტაციით;

პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა (BPfA, მიღებულია 1995 წელს) – არადისკრიმინაციული განათლებისა და სწავლების მიზნით მთავრობამ, საგანმანათლებლო ხელისუფლებამ და სხვა საგანმანათლებლო და აკადემიურმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემუშავება განათლების ყველა საფეხურისთვის, მასწავლებელთა მომზადების ჩათვლით, მასწავლებლებისა გადამზადების პროგრამებისა და საინფორმაციო მასალების შექმნა/განვითარება, რაც გაზრდის მათ ცნობიერებას ქალისა და მამაკაცის სტატუსის, როლისა და კონტრიბუციის შესახებ, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში, მასწავლებელთა და განმანათლებელთა გადამზადების პროგრამებისა და სასწავლო მასალების შემუშავება, მათთვის გენდერულად მგრძნობიარე სწავლების ეფექტიანი სტრატეგიების მიწოდების მიზნით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs, მიღებულია 2015 წელს) – სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური (მსოფლიო) მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისკენ მიმართული განათლება, სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში, სასწავლო პროგრამებში, მასწავლებელთა მომზადება/გადამზადების პროგრამებსა და მოსწავლეთა შეფასების სისტემაში გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების ინტეგრირების გზით.

აღსანიშნავია, რომ ზოგად განათლებაში გენდერული თანასწორობის ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის:

25 Closing the gender gap in STEM education can foster economic growth, European Institute for Gender Equality (EIGE) https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/2017.2082_mh0217177enn_pdfweb_20170803123353.pdf

- 2017 წელს შემუშავდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმი;[26]
- გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები გახდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილი, რომელშიც მოქცეულია ზოგადი განათლების სფეროს მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებიც;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2022-2030 წლების ერთიან სტრატეგიაში ერთ-ერთ სექტორულ პრიორიტეტად განისაზღვრა თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება;
- 2022 წელს სამინისტროში შეიქმნა გენდერული მეინსტრიმინგის პლატფორმა,[27] რომლის მიზანიცაა გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა განათლების სისტემასა და მეცნიერებაში; გენდერული სტერეოტიპების დაძლევა და გენდერული სენსიტიურობის გაზრდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებში და სხვ.

მიუხედავად ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა, არსებობს გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ:

მწირია გენდერული თანასწორობის და, ზოგადად, გენდერის შესახებ როგორც ბავშვების და ახალგაზრდების, ასევე აღმზრდელებისა და პედაგოგების ცოდნა და კომპეტენციები.[28] ამასთანავე, საქართველოს განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე ჩატარებული რამდენიმე კვლევიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა ტრადიციული შეხედულებები გაუცნობიერებლად ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს საკლასო ოთახში.[29]

სასკოლო სახელმძღვანელოები კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას გენდერული როლის ასახვასთან დაკავშირებით საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში;[30] ასევე გამოწვევებია სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული შინაარსის ინტეგრირებისა და, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.[31]

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის PISA-ს მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გოგოები

---

26 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 აპრილის N621 ბრძანება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე.“

27 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენდერული მეინსტრიმინგის პლატფორმის სახელმძღვანელო წესი.

28 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წწ. https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo

29 გენდერულ თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, UNDP.

https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO.pdf

30 თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, ფონდი „ღია საზოგადოება -საქართველო“. https://csf.ge/wp-content/uploads/2021/09/grifirebis-kvleva_geo-2.pdf

31 წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2020122517134623546.pdf

უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე ბიჭები, თუმცა მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით გოგოები ნაკლებად არიან წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ცხრილი 2. მოსწავლეთა მიღწევების (ქულების) დინამიკა 2009-2022 წწ.[32]

	მათემატიკა		საბუნებისმეტყველო საგნები	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
PIZA 2009	381	378	383	363
PIZA 2015	411	398	420	403
PIZA 2018	400	396	390	376
PIZA 2022	393	387	391	377

ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს მნიშვნელოვან ჰორიზონტალურ სეგრეგაციას[33] და STEM დარგებში[34] ქალების ნაკლებ მონაწილეობას უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე.

დიაგრამა 3. სტუდენტების პროცენტული განაწილება დარგების და სქესის მიხედვით ბაკალავრიატის საფეხურზე, 2022-2023 სასწავლო წელი[35]



1.2 აუდიტის მიზანი და ძირითადი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა (შემდგომ – სამინისტრო) და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნული ცენტრის (შემდგომ – ცენტრი) მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა, გამოავლინოს პროცესებში არსებული ნაკლოვანებები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

აუდიტის მიზნიდან გამომდინარე, მთავარ კითხვად განისაზღვრა შემდეგი:

32 მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2022, პირველადი ანგარიში, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. https://naec.ge/#/ge/post/1499

33 ქალები და კაცები არაპროპორციულად გადანაწილდებიან გარკვეულ სამეცნიერო დარგებში.

34 მეცნიერება, საინჟინრო, გადამამუშავებელი და სამშენებლო დარგები, სოფლის მეურნეობა.

35 საქსტატი, გენდერული სტატისტიკა. https://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Education

რამდენად ქმედითია ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები?

აუდიტის ქვეკითხვებია:

- რამდენად სათანადოდ ჩატარდა განათლების სტრატეგიის შემუშავებისას გენდერული თანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძებები?
- რამდენად სათანადოდ არის ინტეგრირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის პრინციპები?
- რამდენადუზრუნველყოფსმასწავლებელთაპროფესიულიგანვითარების ტრენინგმოდულები მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად?

1.3 შეფასების კრიტერიუმები

აუდიტში შეფასების კრიტერიუმად ასევე გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტები:

პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა[36] – დოკუმენტი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის ცვლილებებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით განსაზღვრულია 12 კრიტიკული სფერო, ერთ-ერთი განათლების სფეროა, სადაც გენდერული მეინსტრიმინგის სტრატეგიული ამოცანების განხორციელება მოეთხოვება თითოეულ სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს:

ქალები და განათლება სტრატეგიული ამოცანა B.4	ყველა დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციით (გამომცემლობები, მასწავლებლები, საჯარო ხელისუფლება, მშობელთა ასოციაციები) რეკომენდაციებისა და გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემუშავება განათლების ყველა საფეხურისთვის, მასწავლებელთა მომზადების ჩათვლით;
	მასწავლებლებისა და განმანათლებლებისთვის გადამზადების პროგრამებისა და საინფორმაციო მასალების შექმნა/განვითარება, რაც გაზრდის მათ ცნობიერებას ქალისა და მამაკაცის სტატუსის, როლისა და კონტრიბუციის შესახებ, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.
	მასწავლებელთა და განმანათლებელთა გადამზადების პროგრამებისა და სასწავლო მასალების შემუშავება, მათთვის გენდერულად მგრძნობიარე სწავლების ეფექტიანი სტრატეგიების მიწოდების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესში საკუთარი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

36 მიღებულ იქნა 1995 წელს.

გენდერული თანასწორობის გაძლიერებაზე მიმართული სტრატეგიების, გეგმებისა და პროგრამების მომზადების გარდა, პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში სახელმწიფოებს განესაზღვრათ გენდერული საკითხების ყველა სფეროში ინტეგრირების ვალდებულება, ნებისმიერი სახის პოლიტიკისა და პროგრამის დაგეგმვისას, მონიტორინგისას და შეფასებისას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW)[37] – კონვენციის მიხედვით, განათლებაში თანასწორობის წინაპირობას კაცებისა და ქალების შესახებ სტერეოტიპული დაშვებების აღმოფხვრა წარმოადგენს. ამის მიღწევის საშუალებად კი სახელმძღვანელოების, სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემების გადახედვა მიიჩნევა. გენდერულად მგრძნობიარე საგანმანათლებლო პოლიტიკა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გაზრდასა და განათლების სისტემიდან გოგოების გასვლის შემთხვევების შემცირებას გულისხმობს.

მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა[38] – 4.7.1 გლობალური (მსოფლიო) მოქალაქეობის ჩამოყალიბებისკენ მიმართული განათლების და მდგრადი განვითარების, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული განათლების ინტეგრირების დონე:

- სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში;
- სასწავლო პროგრამებში;
- მასწავლებელთა მომზადება/გადამზადების პროგრამებში;
- მოსწავლეთა შეფასების სისტემაში.

Guide For Gender Mainstreaming In the Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies – გენდერული მეინსტრიმინგი სტრატეგიული დაგეგმვისას გულისხმობს გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რომელებიც უნდა გადაიჭრას მოცემულ კონტექსტში (სტრატეგიის ან პროგრამის ფარგლებში). მხოლოდ აღნიშნულის საშუალებით იქნება შესაძლებელი ობიექტური გენდერულად პასუხისმგებლიანი მიზნების და აღნიშნული მიზნების მისაღწევად შესაბამისი მიდგომებისა და ინტერვენციების შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურებია:

- არსებული სიტუაციის ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან;
- მიზნების დასახვა;
- გენდერულად მგრძნობიარე სტრატეგიის შექმნა;
- გენდერულად მგრძნობიარე წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება;
- მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება;

A practical guide to integrating the gender perspective into a policy/programming cycle[39] – გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიერ დადგენილი გენდერული მეინსტრიმინგის სპეციფიკური მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკის დაგეგმვის საფეხურებზე, დაყოფილია ოთხ ეტაპად:

---

37 რატიფიცირება მოხდა 1994 წელს.

38 https://sdg.gov.ge/goals-details-inner/4/1

39 European Institute for Gender Equality. https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/what-is-gender-mainstreaming

განსაზღვრის ინსტრუმენტები

- გენდერული სტატისტიკა
- გენდერული ანალიზი
- გენდერული ზემოქმედების შეფასება
- გენდერული დაინტერესებული მხარეების კონსულტაცია

დაგეგმვის ინსტრუმენტები

- გენდერული ბიუჯეტირება
- გენდერული შესყიდვები
- გენდერული ინდიკატორები

მოქმედების ინსტრუმენტები

- გენდერული თანასწორობის ტრენინგი
- გენდერულად მგრძნობიარე ინსტიტუციური ტრანსფორმაცია
- ცნობიერების ამაღლება

შემოწმება

- გენდერული მონიტორინგი
- გენდერული შეფასება

UNESCO-ს სახელმძღვანელოები/გაიდლაინები[40] – გენდერულად მგრძნობიარე ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელია შემდეგი სისტემური ხასიათის საკითხები:

- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალები არ აძლიერებდნენ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციას. მნიშვნელოვანია გენდერული აუდიტი მოიცავდეს სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალების მიმოხილვასა და გადასინჯვას;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალები პასუხობდეს გოგოებისა და ბიჭების განსხვავებულ გენდერულ საჭიროებებს;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსი მოიცავდეს გენდერული თანასწორობის კონცეფციებს, რათა გოგოებმა და ბიჭებმა მიიღონ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის შესახებ სწავლების ყველა საფეხურზე. ეს უნდა განხორციელდეს არამარტო მოსწავლეთა დამოკიდებულებების, ღირებულებების და ქცევების შეცვლის მიზნით, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

როგორც სასწავლო გეგმების შემთხვევაში, ასევე უნდა განხორციელდეს სასწავლო მასალების განხილვა გენდერული მიკერძოების მიმართულებით. რეცენზენტებმა უნდა შეიმუშაონ განსახილველ საკითხთა სია (ე.წ. checklist), რათა შეძლონ სასწავლო მასალების თანმიმდევრული შეფასება. სასწავლო მასალების შემოწმების შემდეგ მნიშვნელოვანია გაუმჯობესების მკაფიო ინსტრუქციების შედგენა და მათი გაზიარება ყველასთვის, ვინც ჩართულია სასწავლო მასალების წერის, ილუსტრირებისა და გამოცემის პროცესში.

40 Mainstreaming gender equality in curricula and teaching and learning materials – UNSESCO.

Education, Gender equality – Canadian International Development Agency (CIDA)[41]

გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგის მიწოდება როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე სკოლის ადმინისტრაციისა და ინსპექტორებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, რათა ხელი შეეწყოს გოგოებისათვის მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნას. მასწავლებელთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ საკითხებს:

- მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობის, გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და არსებული ვალდებულებების მიმართულებით;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოლოდინები მასწავლებლებისთვის იმ მოლოდინების, დამოკიდებულებების, ქცევების შესახებ, რომლებიც უნდა გაავრცელონ სკოლაში;
- მითითებებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალის მიწოდების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას;
- იმ სწავლების მეთოდების ანალიზი, რომელიც აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას და მათი გამოსწორების სტრატეგიები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორობა გოგოებსა და ბიჭებს შორის.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებში[42] – სამოქმედო გეგმის მე-12 თავის – „გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება“, ერთ-ერთი მოქმედების სფეროა გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში. ჩამონათვალში მოცემულია სამოქმედო გეგმით გაწერილი მიზნები, რომლებზეც პასუხისმგებელი უწყება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროა:

- სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება;
- განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევა;
- სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება და პოპულარიზაცია;
- განათლების დარგის პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებში;
- პროფესიული სეგრეგაციის დაძლევა.

1.4 აუდიტის მასშტაბი

განათლების საფეხურებიდან აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზოგადი განათლების საფეხური. ზოგადი განათლების სფეროში აუდიტი ფოკუსირდა განათლების სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და მასწავლებელთა ცნობიერებაზე გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის განსახორციელებლად.

41 https://publications.gc.ca/collections/collection_2010/acdi-cida/CD4-62-2010-eng.pdf

42 ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს მიერ შექმნილი.

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

აუდიტის მასშტაბი მოიცავს ზოგად განათლებაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებს. STEM მიმართულების საგნებში სკოლის მოსწავლეთა შეფასებები სქესის ჩაშლით გაანალიზდა საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო სკოლების 10%-ში (112 შერჩეული სკოლა).[43] მე-12 კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა ჩატარდა თბილისის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და კახეთის შერჩეულ 14 სკოლაში.[44]

აუდიტის პერიოდი მოიცავს 2018-2023 წლებს. ანალიტიკური მიზნებისთვის, ასევე ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირებისას გათვალისწინებულია აუდიტის ძირითადი პროცედურების დასრულებამდე არსებული პერიოდი.

1.5 აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სამართლებრივი ბაზისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მოწოდებული/მოძიებული ბაზების ანალიზი;
- აუდიტის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრები/კომუნიკაცია აუდიტის ობიექტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინტერვიუები სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.[45]

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად, ძირითადი შესწავლის ეტაპზე განხორციელდა შემდეგი პროცედურები:

1. რამდენად სათანადოდ ჩატარდა განათლების სტრატეგიის შემუშავებისას გენდერული თანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები?

- სამინისტროს 2022-2030 წლების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი და შედარება საერთაშორისო კარგი პრაქტიკით არსებულ სტრატეგიის დადგეგმვისას გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებასთან;

43 საჯარო სკოლების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:სკოლაში სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლება; მინიმუმ, 100 მოსწავლე მაინც სწავლობს; ყველა მუნიციპალიტეტის მოცვით. სულ ასეთი 1 108 სკოლაა, საიდანაც შეირჩა 10%.

44 სკოლების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა სკოლის მე-12 კლასელთა რაოდენობა.

45 UN WOMEN-ის საქართველოს წარმომადგენლობა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, საქართველოს სახალხო დამცველი.

- 2022-2030 წლების სტრატეგიის სიტუაციის ანალიზისას გამოყენებული სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზი;
- სკოლის დონეზე STEM მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით მე-12 კლასის მოსწავლეების გამოკითხვა და ანალიზი სქესის ჩაშლით.[46]

2. რამდენად სათანადოდ არის ინტეგრირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის პრინციპები?

- სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძებების ანალიზი ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის ინტეგრირების მიზნით;
- ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტის ანალიზი და შედარება გენდერული თანასწორობის ჭრილში საერთაშორისო პრაქტიკასთან;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი სავალდებულო საგნების – „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და „მოქალაქეობა“, სახელმძღვანელოების დოკუმენტური ანალიზი გენდერული თანასწორობის საკითხების სწავლების კუთხით;
- არაფორმალური განათლების ფორმატით, 2022 წელს შემუშავებული დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის პროგრამა „ექიმის საათის“ სილაბუსის ანალიზი და შედარება ეროვნული სასწავლო გეგმით დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის გათვალისწინებულ გენდერული თანასწორობის სწავლების საკითხებთან;
- სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩართულ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის წევრების,[47] ასევე დამოუკიდებლად სხვა სპეციალისტების და ფსიქოლოგების გამოკითხვა[48] და ანალიზი გრიფირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასკოლო სახელმღვანელოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით;
- სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა გამოკითხვა[49] და ანალიზი გრიფირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასკოლო სახელმღვანელოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით;

---

46 გამოკითხვა ჩატარდა სულ 14 სკოლაში, შემდეგ რეგიონებში: თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, კახეთი. გამოიკითხნენ 2024-2025 სასწავლო წლისთვის მე-12 კლასის მოსწავლეები, სულ – 431 პირი, მათ შორის – 53% გოგო და 47% ბიჭი. სკოლების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა მე-12 კლასელების რაოდენობა, გამოიკითხა ის მე-12 კლასები, სადაც უფრო მეტი მოსწავლე სწავლობს. გამოკითხვა ჩატარდა აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩეულ სკოლებში, ადგილზე გამოკითხვის წესით. მოსწავლეთა გამოკითხვაში მონაწილეობის მიზნით, სამინისტროს დახმარებით წინასწარ სკოლებში გაგზავნილ იქნა მშობელთა თანხმობის ფორმები, რომელთა გაზიარებაც აუდიტის ჯგუფისთვის სკოლამ უზრუნველყო ადგილზე ვიზიტის დროს. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმური სახით, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს თავიანთი სახელების/გვარების და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია გამოკითხვაში არ მიუთითებიათ.

47 სულ გამოიკითხა 2020-2023 წლებში რეცენზირების პროცესში ჩართული 63 რეცენზენტი, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირი/ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი – 32%, მასწავლებელი – 36,5%, დარგის მეცნიერი -22%, ფილოლოგი – 9,5%. სქესის ჩაშლით: 78% ქალი და 22% მამაკაცი. გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეებმა შეავსეს docs.google.com-ის საშუალებით. გამოკითხვის ლინკი მონაწილეებს დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე.

48 სულ გამოიკითხა 2020-2023 წლებში რეცენზირების პროცესში ჩართული 46 სხვა სპეციალისტი და ფსიქოლოგი, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, მათ შორის, ფსიქოლოგი – 59% და სხვა სპეციალისტი – 41%. სქესის ჩაშლით: 87% ქალი და 13% მამაკაცი. გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეებმა შეავსეს docs.google.com-ის საშულებით. გამოკითხვის ლინკი მონაწილეებს დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე.

49 სულ გამოიკითხა 2018-2023 წლებში სახელმძღვანელოთა გრიფირების პროცესში რეგულარულად მონაწილე სხვადასხვა გამომცემლობის 58 სასკოლო წიგნის ავტორი, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, მათ შორის, 84,5% ქალი და 15,5% მამაკაცი. გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეებმა შეავსეს docs.google.com-ის საშულებით. გამოკითხვის ლინკი მონაწილეებს დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე.

- 2020-2023 წლებში სახელმძღვანელოების რეცენზირების შერჩეული დოკუმენტების[50] ანალიზი, ყველა გრიფირების პროცესში სხვა სპეციალისტისა და ფსიქოლოგის ჩართულობის დასადასტურებლად.

3. რამდენად უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულები მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად?

- მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლებისა და სტანდარტების სამართლებრივი აქტების მიმოხილვა და ანალიზი, თუ რამდენად მოითხოვს გენდერული თანასწორობის კუთხით ცოდნასა და ცნობიერების ამაღლებას;
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი გენდერული თანასწორობის ტრენინგების განხორციელებისთვის;
- ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგმოდულების სილაბუსების დოკუმენტური ანალიზი და ასევე, ტრენინგებში სამიზნე ჯგუფების მოცვის ანალიზი;
- მასწავლებელთა გამოკითხვა – მათი დამოკიდებულებებისა და – გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის განსახორციელებლად საჭიროებების განსაზღვრის მიზნით.[51]

50 შეირჩა იმ რეცენზირების დოკუმენტების ID ნომრები, რომლებიც რეცენზირების 1 ეტაპზევე აკმაყოფილებდნენ გენდერული თანასწორობის კრიტერიუმს: 2023 წელი (45, 46, 60, 151, 152, 154, 164, 226, 227, 233, 245, 256, 257, 261, 268, 270, 366, 372, 388, 392, 397, 405); 2022 წელი (1712, 1721, 1568, 1613, 1640, 1642, 1645, 1738, 1757, 1754, 1766); 2021 წელი (1442, 1505, 1508, 1530); 2020 წელი (1305, 1313, 1317, 1321, 1344, 1350, 1351, 1359, 1361, 1367, 1378, 1379, 1383, 1797).

51 შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა 126 მოქმედი მასწავლებელი რეგიონალური მოცვით, მათ შორის, 123 ქალი და 3 მამაკაცი. გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეებმა შეავსეს docs.google.com-ის საშულებით. გამოკითხვის ლინკი მონაწილეებს დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 ზოგადი განათლება გენდერულ ჭრილში

ხარისხიანი განათლების მიღება თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობას.[52] საქართველოში არსებობს განათლების ოთხი დონე :

სრული ზოგადი განათლება არის სამსაფეხურიანი და თორმეტწლიანი: დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები).

როგორც გრაფიკ 3-შია მოცემული, საქართველოში გოგოებსა და ბიჭებს ზოგადი განათლების მიღების დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ.

გრაფიკი 3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები (ათასებში)[53]



52 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის.

53 საქსტატი.

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკები აჩვენებს, სწავლის შეწყვეტის მონაცემები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან სქესისა ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მიხედვით.[54]

გრაფიკი 4. მთლიან მოსწავლეთა რაოდენობაში სწავლის შეწყვეტის წილი სქესის ჩაშლით, ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით



გრაფიკი 5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში[55] მოსწავლეთა რაოდენობაში სწავლის შეწყვეტის წილი სქესის ჩაშლით, ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით



54 სწავლის შეწყვეტის მონაცემები დათვლილია სტატუსის შეჩერების მიზეზის მიხედვით. სტატუსშეჩერებულმა მოსწავლემ შესაძლოა აღიდგინოს სტატუსი/ხელახლა ჩაირიცხოს სკოლაში და სწავლა გააგრძელოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისად, სწავლის შეწყვეტის/შეჩერების საფუძვლით წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ცვალებადია და მერყევი. სამინისტროს მიერ მოწოდებული სწავლის შეწყვეტის მიზეზები შეიძლება იყოს: ავადმყოფობა, გარდაცვალება, დაოჯახება, მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება 45 სასწავლო დღე, მოსწავლე ოჯახთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ, მუშაობის დაწყება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მოსწავლის განცხადება, პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელება, სწავლის გაგრძელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის სკოლაში, ჩარჩენილი მოსწავლის ვაუჩერის გადაუხდელობა – ფინანსური დავალიანება და სხვ.

55 ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, სადაც უმეტესად ცხოვრობენ ეთნიკური აზერბაიჯანელები და ეთნიკური სომხები.

ზოგადი განათლების პოლიტიკის მთავარი დოკუმენტია განათლების და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს მთავრობის ხედვას განათლებისა სისტემის განვითარების შესახებ და პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად ასახავს გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების გეგმას. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიის შესრულების ინდიკატორები მიღწეული პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგისათვის.

მოქმედი 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია მოიცავს სამ სექტორულ პრიორიტეტულ მიმართულებას:

I. ხარისხი და შესაბამისობა
II. თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება
III. მართვა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება.

2.2 ეროვნული სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალები

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (შემდგომში – სკოლა) სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას.[56]

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო ან/და არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ქვემოთ მოცემული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი სავალდებულო საგნები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს თანასწორობისა და ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით:

- მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში)
- ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში)
- სამოქალაქო განათლება (მოიცავს საგანს – „მოქალაქეობა“ (VII-XII კლასები და სავალდებულო პროექტებით სწავლება – X-XII კლასები).

სახელმძღვანელოების გრიფირება

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნობრივი სასწავლო გეგმა და სტანდარტები (კონკრეტული საგნისთვის დადგენილი მოთხოვნები), რომელთა მიხედვითაც იქმნება სასწავლო სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესში ძირითად საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სერია.[57]

56 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა.

57 სახელმძღვანელო/სერია, რომელსაც მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს გრიფი.

სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის გრიფირების პროცესი იწყება სამინისტროს მიერ გრიფირების გამოცხადებით, რომლითაც განისაზღვრება გრიფირების პირობები.[58] განმცხადებელი განაცხადს არეგისტრირებს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის საშუალებით (https://grifireba.emis.ge), რომელსაც ქმნის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. გრიფირების პროცესი შედგება ხუთი ეტაპისგან.[59]

გრაფიკი 6. სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტის გრიფირების ეტაპები



გამომცემლობა/ავტორთა განაცხადების მიღება, წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმება

ტექნიკურ და შინაარსობრივ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება; სააპელაციო კომისიასთან საჩივრის წარდგენა/განხილვა

ჯამური ქულების 90%-იანი ზღვარი, ყველა კრიტერიუმში „სრულად აკმაყოფილებს" შეფასება / არა ავთენტურია

სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის გრიფირების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპია რეცენზირების პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება რეცენზენტთა მიერ სახელმძღვანელოს მაკეტის შეფასება წინასწარ დადგენილი ტექნიკური და შინაარსობრივი კრიტერიუმების მიხედვით. 2020 წლიდან შინაარსობრივი კრიტერიუმი მოიცავს ორ ეტაპს და ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაშლილია შესაბამის წლებში გრიფირებაზე წარდგენილი განაცხადების რაოდენობები, რეცენზირების ორივე ეტაპის შედეგების მიხედვით.

ცხრილი 3. 2020-2023 წლებში სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში შემოტანილი განაცხადების შინაარსობრივი რეცენზირების შედეგები[60]

გრიფირების მინიჭების წელი	გრიფირებაზე შემოტანილი განაცხადები	შინაარსობრივი რეცენზირების I ეტაპი		შინაარსობრივი რეცენზირების II ეტაპი	
		გადალახა	ვერ გადალახა	გადალახა	ვერ გადალახა
2020	58	32	26	30	2
2021	54	36	17	34	2
2022	87	66	20	63	2
2023	136	88	48	76	12

რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებს 2017 წელს დაემატა კრიტერიუმი – „შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან", რომელშიც შედის ქვეკრიტერიუმი – „თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა", რომლითაც

58 შესარჩევი ერთეულები, განაცხადის რეგისტრაციის და სხვა ვადები, საავტორო ჰონორარის ოდენობა და ა.შ.

59 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ".

60 2020 წლამდე სახელმძღვანელოების გრიფირების წერი არ ითვალისწინებდა რეცენზირების ორ ეტაპს.

შესაძლებელი გახდა გენდერული თანასწორობის მიმართულებითაც სასწავლო მასალების შეფასება.

ცხრილი 4. ქვეკრიტერიუმის „თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა“ რეცენზირების შეფასების შედეგები

გრიფირების მინიჭების წელი	გრიფირება მინიჭებული სახელმძღვანელოების რაოდენობა	შინაარსობრივი რეცენზირების I ეტაპი		შინაარსობრივი რეცენზირების II ეტაპი	
		აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	რეცენზიის უცვლელად დატოვება	რეცენზიის სხვაგვარად ფორმულირება
2023	76	23	48	32	16
2022	63	11	53	N/A[61]	N/A
2021	34	4	30	N/A	N/A
2020	30	14	15	N/A	N/A

რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფში, რომელიც განახორციელებს შინაარსობრივ რეცენზირებას, შეიძლება შედიოდეს: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირი/ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი, მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ფილოლოგი (ქართული ენის); ფსიქოლოგი და სხვა სპეციალისტი.

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში სახელმძღვანელოს მაკეტის შეფასებას ახდენს რეცენზენტთა ჯგუფიდან სხვა სპეციალიტი და ფსიქოლოგი. 2019 წლიდან სამინისტროში გრიფირების პროცესისთვის სხვა სპეციალისტების ნომინირებას ახორციელებს სახალხო დამცველი.

2.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად

ვინაიდან სასწავლო გეგმის გადასინჯვა შეიძლება იყოს ხანგრძლივი პროცესი, მასწავლებლებს ასევე სჭირდებათ ცოდნა და უნარი, კრიტიკულად გააანალიზონ და აღმოფხვრან შესაძლო გენდერული სტერეოტიპები არსებულ სასწავლო მასალებში და თავიდან აიცილონ ასეთი სტერეოტიპები მოსწავლეებთან ურთიერთობისას.[62]

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული მომზადების, განვითარებისა და მასწავლებლობის უფლების მინიჭების ერთიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ცენტრის საქმიანობის სფეროში შედის:

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების პროექტების შექმნა და განვითარება;
- მასწავლებელთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;

61 2023 წლამდე გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეცენზირების მეორე ეტაპის შედეგების დანახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ სხდომის ოქმების ვიდეოჩანაწერებით, რომელთა გავლაც ვერ განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მხრიდან დროითი რესურსების გათვალისწინებით, ხოლო 2023 წლიდან სისტემაში თვითონ რეცენზირების დოკუმენტში გახდა შესაძლებელი ორივე ეტაპის შედგების დანახვა.

62 Cracking the code: girls' and women's education in science, technology, engineering and mathematics (STEM), UNESCO.

- მასწავლებელთა პროფესიული მომზადების და განვითარების პროგრამების შესამუშავებლად რეკომენდაციების მომზადება;
- მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე სამინისტროსათვის რეკომენდაციების მომზადება და სხვ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებებში შედის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის/ კურსების გავლა.

დიაგრამა 4. მასწავლებელთა რაოდენობა სქემით განსაზღვრული სტატუსების მიხედვით



აუდიტის მიგნებები

3. ზოგადი განათლების სტრატეგიის გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული მეინსტრიმინგი სტრატეგიული დაგეგმვისას გულისხმობს გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რომელებიც უნდა გადაიჭრას მოცემულ კონტექსტში (სტრატეგიის ან პროგრამის ფარგლებში). მხოლოდ აღნიშნულის საშუალებით იქნება შესაძლებელი ობიექტური გენდერულად პასუხისმგებლიანი მიზნების და აღნიშნული მიზნების მისაღწევად შესაბამისი მიდგომებისა და ინტერვენციების შემუშავება.

იმისთვის, რომ სახელმწიფო უწყების პოლიტიკა და პროგრამები გახდეს გენდერულად სენსიტიური, მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საფეხურები დანახულ იქნეს „გენდერული ლინზის“ მეშვეობით.

სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურებია:[63]

სქემა 1. სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურები

1. არსებული სიტუაციის ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან	• შიდა და გარე ანალიზი • დაინტერესებული მხარეების ანალიზი
2. მიზნების დასახვა	• მისია და ხედვა • ორგანიზაციის პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრა
3. გენდერულად მგრძნობიარე სტრატეგიის შექმნა	• პროგრამებისა და ქვეპროგრამების მომზადება • წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა • ბიუჯეტის დაგეგმვა • რისკების შეფასება
4. გენდერულად მგრძნობიარე წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება	• აქტივობების და ღონისძიებების განსაზღვრა • მიზნებისა და შედეგების განსაზღვრა • შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორების შემუშავება
5. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება	• მონაცემთა შეგროვება • პროგრესის შეფასება და რეპორტინგი

63 Guide For Gender Mainstreaming In The Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies, UN Women, Sweden Sverige. https://eca.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Guide_Gender_mainstreaming_ENG.pdf

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო (2018-2020 წწ.) სამოქმედო გეგმით სამინისტროები პასუხისმგებელი გახდნენ სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებაზე, ასევე განათლების სამინისტრო პასუხისმგებელი გახდა განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების გამოვლენასა და მის დასაძლევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.

3.1 არსებული სიტუაციის ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან

სტრატეგიის შემუშავებისას არსებული მდგომარეობის შეფასება არის ჩატარებული ანალიზების (ფუნქციური, SWOT, PEST ანალიზი და ა.შ.) შედეგი. იმისთვის, რომ პოლიტიკა გახდეს გენდერულად მგრძნობიარე, მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებმა ასევე განახორციელონ ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.[64]

გენდერული ანალიზი არის კრიტიკული კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს გოგოებსა და ბიჭებზე, ქალებსა და კაცებზე მათი განსხვავებული გენდერული როლები, საჭიროებები, შესაძლებლობები, უფლებები და ვალდებულებები კონკრეტულ კონტექსტსა თუ სიტუაციაში. გენდერული ანალიზი ინტეგრირებული უნდა იყოს ყველა სექტორულ შეფასებასა თუ სიტუაციურ ანალიზში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გენდერული უთანასწორობა და უსამართლობა არ გამწვავდეს განხორციელებული ინტერვენციებით და პირიქით, სადაც შესაძლებელია ხელი შეეწყოს უფრო მეტ თანასწორობასა და სამართლიანობას. სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების გამოყენება აუცილებელია ზემოაღნიშნული საკითხების ანალიზისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება.[65]

გენდერული ანალიზის ჩატარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სქესის ნიშნით სტატისტიკის წარმოება.[66] სამინისტროში საგანმანათლებლო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე პასუხისმგებელი არის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც სტატისტიკური მაჩვენებლების დამუშავებასა და ტენდენციის ანალიზს ახორციელებს წინასწარ დადგენილი ინდიკატორების მიხედვით, რომლებითაც შესაძლებელია დიფერენცირება გენდერულ ჭრილში.[67]

არსებული მდგომარეობის შეფასებისას გენდერული საკითხების გამოვლენის მიზნით, რაოდენობრივ ანალიზთან და მონაცემებთან ერთად მნიშვნელოვანია ხარისხობრივი ანალიზი და მონაცემები. არსებობს ისეთი ასპექტები, როგორებიცაა, მასწავლებლების გენდერული ინფორმირებულობა, გენდერულად მგრძნობიარე სწავლება და სხვა რიგი საკითხები, რომელთა აღქმა უფრო რთულია და საჭიროებს უფრო ღრმა ხარისხობრივ ანალიზს. ასეთ თვისობრივ კვლევებს ხშირად ატარებენ კვლევითი ჯგუფები, რომლებიც დამოუკიდებელნი

64 Guide For Gender Mainstreaming In The Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies, UN Women, Sweden Sverige.

65 Guide For Gender Mainstreaming In The Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies, UN Women, Sweden Sverige. https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/tools-methods/gender-stakeholder-consultation

66 გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის (EIGE).

67 სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2012 წლის 4 ივნისის N1.1/171 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის კვლევისთვის ინდიკატორთა სისტემის განსაზღვრისა და საინფორმაციო ბაზების სრულყოფის შესახებ“.

არიან სტატისტიკური სამსახურისგან, განათლების სამინისტროების მოთხოვნით ან მათთან თანამშრომლობით.[68]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი არ მოიცავს გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციას. რაც შეეხება 2022-2030 წლების სტარტეგიულ დოკუმენტს, სიტუაციის ანალიზის ნაწილში წარმოდგენილია განათლების, მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში თანასწორობის, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების მიმართულებით მიღწევები და გამოწვევები.[69] აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად იქნა შესწავლილი ზოგადი განათლების სფეროში გენდრული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევები.

ცხრილი 5. გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოწვევები ზოგადი განათლების სფეროში

სკოლის პერსონალის კომპეტენციები დაბალია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, ისევე როგორც თანასწორობის პრინციპების შესახებ (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ,2017).
მწირია გენდერული თანასწორობის და ზოგადად, გენდერის შესახებ როგორც ბავშვთა და ახალგაზრდების, ასევე აღმზრდელებისა და პედაგოგების ცოდნა და კომპეტენციები (თანასწორობის მოძრაობა, 2020).
ჯერ კიდევ მტკიცეა გენდერული ნიშნით პროფესიების დაყოფის სტიგმა. ცალკეული პროფესია ქალისთვის უფრო შესაფერისად მიიჩნევა, ვიდრე კაცისთვის და პირიქით, მათ შორის, განსაკუთრებით ტექნიკური საგნები და პროფესიები. მიუხედავად იმისა, რომ გოგოები სტაბილურად უკეთეს შედეგებს აჩვენებენ მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, არსებული უპირატესობა აღარ განაპირობებს გოგოების მხრიდან სწავლის სფეროს არჩევანს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს უფრო მეტად გენდერულ სტერეოტიპებთან, ვიდრე პიროვნულ მისწრაფებასთან (ევროსტუდენტი VII, 2021).

გენდერული თანასწორობის მიმართულებით სტრატეგიაში მოხვდა მხოლოდ ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა, თუმცა ვერ უზრუნველყოფენ პრობლემატიკის სრულ სპექტრს და გამომწვევი ფაქტორების დადგენას, რაზეც მიმართული უნდა იყოს შემდგომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა სკოლის მოსწავლეთა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების წლიური შედეგები: მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში.[70] აღნიშნულ საგნებში მოსწავლეთა შედეგები განსხვავდება სქესის მიხედვით, კერძოდ, გოგოები, ბიჭებთან შედარებით, როგორც დაწყებით,[71] ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.

68 Integrating a Gender Perspective into Statistics, United Nations, 2016.

69 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივნისის N304 დადგენილება.

70 საჯარო სკოლების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი კრიტერიმები :სკოლაში სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლება; მინიმუმ, 100 მოსწავლე მაინც სწავლობს; ყველა მუნიციპალიტეტის მოცვით. სულ ასეთი 1108 სკოლაა, საიდანაც შეირჩა სკოლების 10%.

71 დაწყებითი საფეხურისთვის გაანალიზებულია მხოლოდ მათემატიკის საგნის ქულები, ვინაიდან დანარჩენი საგნების სწავლება საბაზო საფეხურიდან იწყება.

ზემოთ აღნიშნულ საგნებში სქესის მიხედვით მოსწავლეთა შედეგების განსხვავებული მაჩვენებლების ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია თბილისის და დანარჩენი, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების შეთხვევაშიც,[72] კერძოდ, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მაღალქულიანი მოსწავლეების[73] უმეტესობას – გოგოები, ხოლო დაბალქულიანი მოსწავლეების[74] უმეტესობას ბიჭები წარმოადგენენ.

გრაფიკი 7. მოსწავლეთა შედეგების განაწილება სქესის მიხედვით თბილისსა და რეგიონებში 2020-2023 სასწავლო წლების მიხედვით



აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ გოგოებს STEM მიმართულების საგნებში სწავლის შეფერხებები არ აქვთ და სამინისტროს არ ჩაუტარებია სკოლის დონეზე იმ ბარიერების გამოკვლევა, რომლებიც (არსებობის შემთხვევაში) ხელს უშლის გოგოების შემდგომ არჩევანს STEM პროფესიებში.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა STEM მიმართულებით სწავლებაში სკოლის დონეზე

საერთაშორისო პრაქტიკით მნიშვნელოვანია STEM მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების გამოვლენა სკოლის დონეზე[75] და ამის საფუძველზე

72 ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

73 10 და 9 ქულა.

74 4, 3, 2 და 1 ქულა.

75 Cracking the code: girls' and women's education in science, technology, engineering and mathematics (STEM), UNESCO; https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000253479

მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა, რათა შემდგომი სწავლების საფეხურზე გაიზარდოს ქალების ჩართულობა STEM მიმართულების სწავლებებში.

შესაძლო ბარიერების გამოვლენისა და ზოგად განათლებაში გენდერული თანასწორობის დამატებითი საკითხების გამოვლების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა განახორციელა რეგიონების მიხედვით შერჩეულ სკოლებში მე-12 კლასელების გამოკითხვა. გამოკითხვისას განხორციელდა STEM საგნებსა და პროფესიების მიმართ მათი დამოკიდებულებებისა და ინტერესების გაცნობა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გოგოები უკეთესად სწავლობენ STEM საგნებს და მაღალ შეფასებებში[76](66%) ლიდერები არიან, სწავლის გაგრძელების სურვილი ნაკლებად აქვთ სკოლის დასრულების შემდგომ STEM მიმართულების პროფესიებში, მაშინ როცა მაღალი ქულების მქონე ბიჭების უმრავლესობას სურს სწავლის გაგრძელება აღნიშნული მიმართულებით.

დიაგრამა 5. გამოკითხულთა მაღალი შეფასების მქონე მოსწავლეები სქესის ჩაშლით და მაღალი შეფასების მქონე გოგოებსა და ბიჭებში სწავლის გაგრძელების სურვილი STEM მიმართულებით





ამასთანავე, STEM საგნების კარგი სწავლა პირდაპირ პროპორციული არ არის ამ საგნების ინტერესთან მიმართებით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მაღალი შედეგების მქონე გოგოების მხოლოდ 27%-ს აქვს დიდი ინტერესი ამ საგნების მიმართ და ბიჭების – 30%-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, იმ გოგოებიდან, ვისაც დიდი ინტერესი აქვს STEM საგნების მიმართ, 71%-ს სურს სწავლის გაგრძელება სკოლის დასრულების შემდგომ აღნიშნული მიმართულებით. გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ დიდი ინტერესის შემთხვევევაში გოგოების 35%-დან 71%-მდე იზრდება სურვილი სწავლის გაგრძელების STEM მიმართულებებზე.

76 10 და 9 ქულა.

გრაფიკი 8. მაღალი შეფასების მქონე მოსწავლეების ინტერესის დონე STEM საგნების მიმართ





აუდიტის ჯგუფი ასევე დაინტერესდა, თუ რა მხარდაჭერა ან რესურსი დაეხმარებოდათ მოსწავლეებს, რომ სკოლაში უფრო მეტი ინტერესი ჰქონოდათ STEM-ის მიმართულებით.

გრაფიკი 9. სხვადასხვა სახის მხარდაჭერა ან რესურსი, რაც მოსწავლეებს დაეხმარებოდათ, რომ სკოლაში უფრო მეტი ინტერესი ჰქონდეთ STEM-ის მიმართულებით



ასევე გამოკითხვით გამოვლინდა სკოლის დონეზე ის აქტივობები, რაც უფრო მეტ გოგოს წაახალისებს STEM პროფესიებში სწავლის გასაგრძელებლად.

გრაფიკი 10. წამახალისებელი აქტივობები გოგოებისთვის STEM პროფესიებში სწავლის გასაგრძელებლად



მოსწავლეთა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მათ სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ ჩამოყალიბებული STEM საგნების სწავლებასთან დაკავშირებით და ასევე, არ ფლობენ დეტალურ ინფრომაციას STEM პროფესიების/დასაქმების სფეროების შესახებ.

დიაგრამა 6. მოსწავლეთა ცნობიერება და დამოკიდებულებები STEM-ის შესახებ





კომპეტენციებისა და ცნობიერების ნაკლებობა გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა მხრიდან

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვა, რომ დაედგინა: მასწავლებელთა მხრიდან რამდენად ხორციელდება გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა სკოლაში.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ ჯერ კიდევ არსებობს მასწავლებელთა მხრიდან არათანასწორი მოპყრობისა და მიდგომების შემთხვევები მოსწავლეების მიმართ.

დიაგრამა 7. შერჩეული სკოლის მოსწავლეების მთლიანი გამოკითხვის შედეგები



დიაგრამა 8. გამოკითხული ქალაქების სკოლის მოსწავლეთა შედეგები[77]



77 თბილისი, ქუთაისი, რუსთავი.

ასევე: ზოგიერთი გამოკითხულის მხრიდან მაგალითების სახით დაფიქსირდა, თუ როგორი სახის განსხვავებული მიდგომა/დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ბიჭებისა და გოგოების მიმართ სხვადასხვა საგანში. უმეტესობა განსხვავებებს აწყდება ტექნიკური და ჰუმანიტარული საგნების მიმართ, მაგალითად, ფიზიკაში/ქიმიაში მასწავლებელთა მხრიდან უფრო მეტი აქცენტი ბიჭების მიმართ კეთდება, რადგან დამოკიდებულება ასეთია: ბიჭებს უფრო მეტი შეუძლიათ ტექნიკურ და გოგოებს უფრო მეტი – ჰუმანიტარულ საგნებში. დეტალურად იხ. დანართი 1.

ამასთანავე, ჯერ კიდევ ხშირია მასწავლებელთა მხრიდან გენდრული სტერეოტიპებები.

დიაგრამა 9. გამოკითხულ მოსწავლეთა აზრი მასწავლებელთა მხრიდან სტერეოტიპებზე



3.2 მიზნების დასახვა და გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების დაგეგმვა

ორგანიზაციის პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მანამდე განხორციელებულ გენდერულ ანალიზს იმ სფეროებში, სადაც მოხდა ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობის იდენტიფიცირება მათი საჭიროებების, შესაძლებლობებისა და რესურსებზე წვდომის მიმართულებით.

2022-2030 სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრული სამი სექტორული პრიორიტეტიდან მე-2 ეხება თანასწორობას, ინკლუზიასა და მრავალფეროვნებას. აღნიშნულ სექტორულ პრიორიტეტში ზოგადი განათლების მიმართულებით განსაზღვრულია მიზანი:

- მიზანი 2.2: ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე თითოეული მოსწავლისთვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა
- ამოცანა 2.2.1: სპეციალური მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ინკლუზიური სწავლების კომპეტენციების განვითარება;
- ამოცანა 2.2.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და ხარისხიანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის.

სტრატეგიით განსაზღვრული აღნიშნული მიზნის ამოცანები ეხება მხოლოდ ინკლუზიური განათლების მიმართულებას და ნაკლებად პასუხობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით 3.1 ქვეთავში არსებულ გამოწვევებს.

აუდიტის ჯგუფმა, ასევე შეისწავლა სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, მე-2 სექტორული პრიორიტეტის[78] ფარგლებში, ზოგად განათლებაში გაწერილი ამოცანები და აქტივობები.

ცხრილი 6. სამოქმედო გეგმით ზოგადი განათლების სფეროში გაწერილი აქტივობები 2022-2024 წლებისთვის

2.2.1.1 მასწავლებლის განათლების ყველა პროგრამაში ინკლუზიური განათლების მოდულების შემუშავება და ინტეგრირება; 2.2.1.2 ინკლუზიური განათლების შემადგენლობის/პროგრამების შემუშავება მასწავლებლის შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის;
2.2.2.1 პანდემიის დროს სასწავლო პროცესის დანაკარგების შეფასება და გეგმის შემუშავება მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფში მიღწევებს შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად; 2.2.2.2 მოსწავლეების ფორმალურ განათლებაში დაბრუნების ინსტრუმენტების შემუშავება; 2.2.2.3 ინდივიდუალური საჭიროების მქონე ყველა მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; 2.2.2.4 არაქართულ სკოლებში ორენოვანი განათლების პროგრამების განხორციელება; 2.2.2.5 სპეციალური პროგრამის შემუშავება და ამოქმედება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის (სმენისა და მხედველობის დაქვეითებით, გამარტივებული სასწავლო პროგრამებისთვის და ა.შ.); 2.2.2.6 არაქართულენოვანი სკოლებისათვის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ზოგადი განთლების სფეროში არ არის გენდერული თანასწორობის მიმართულებით გაწერილი ღონისძიებები.

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული გენდერული ანალიზი ნაკლებად არის წარმოდგენილი სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავებისას, სათანადოდ ვერ დაიგეგმა ზოგად განათლებაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებები.

78 თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების სისტემა.

დასკვნა:

გენდერული მეინსტრიმინგი არის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის განათლების სტრატეგიაში. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემების იდენტიფიცირება და გენდერული საკითხების გათვალისწინება არ არის სრულყოფილი.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის მთავარი ამოცანაა გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების იდენტიფიცირება. გენდერული ანალიზი, როგორც კრიტიკული კვლევის მეთოდი, რომელიც არსებული მდგომარეობის გენდერული პერსპექტივიდან შეფასებას მოიაზრებს როგორც რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე, ასევე ხარისხობრივი ანალიზითაც, ნაკლებად არის წარმოდგენილი სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავებისას.

აღნიშნულს ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული მოსწავლეთა გამოკითხვების ანალიზი, რითაც გამოვლინდა სკოლის დონეზე გენდერული თანასწორობის ის საკითხები, რომლებიც სამინისტროს მხრიდან საჭიროებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

განხორციელებული კვლევით გამოიკვეთა, რომ გოგოების უკეთესი აკადემიური შედეგები STEM მიმართულებებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) არ განაპირობებს მათი ჩართულობის გაზრდას ამ სფეროებში. გოგოებს აქვთ დაბალი ინტერესი/მოტივაცია, რაც აიხსნება გენდერული სტერეოტიპებითა და კულტურული ფაქტორებით, რომლებიც ხელს უშლის მათ STEM პროფესიულ გზაზე დაწინაურებას; აგრეთვე გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დიდი ინტერესის მქონე გოგოებში, სწავლის გაგრძელების სურვილი STEM მიმართულებებზე საგრძნობლად იზრდება (71% მდე). შესაბამისად, საჭიროა სკოლის დონეზე დამატებითი მექანიზმების არსებობა, რათა ხელი შეეწყოს გოგოების ინტერესების ზრდას აღნიშნული მიმართულებით.

ამასთანავე, მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა გადამზადება გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით კვლავ რჩება აუცილებელ ამოცანად, რადგან მათი მხრიდან გენდერული სტერეოტიპები გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესზე, ისე მოსწავლეთა მოტივაციაზე.

2022-2030 სტრატეგიის დოკუმენტში სამინისტროს მიერ განსაზღვრული მე-2 სექტორული პრიორიტეტი არის თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული მიზნის ამოცანები და მის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები ნაკლებად პასუხობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ზოგად განათლებაში არსებულ საჭიროებებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გენდერული თანასწორობის ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია განსახორციელებელ ანალიზებში გენდერული ანალიზის სათანადო ინტეგრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტრატეგიული დაგეგმვისას გენდერული სხვაობებისა და სტრუქტურული გენდერული უთანასწორობების სრულყოფილად და სათანადოდ იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე, შემდგომ სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N 1

სამინისტრომ განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების უკეთ ინტეგრირების მიზნით გააუმჯობესოს განათლების სტრატეგიული ამოცანების დასახვისა და ღონისძიებების დაგეგმვის მოქმედი პროცესი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად:

- განსაზღვროს გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ გამოვლენისთვის განსახორციელებელი აქტივობები;
- გენდერული თანასწორობის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს ზოგადი განათლების დონეზე ინიციატივები STEM საგნებში გოგოების მოტივაციის/ინტერესის გაზრდის მიზნით.

4. ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის ინტეგრირება

ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სკოლებში შესასწავლ საგნებს და სწავლების შინაარსს. კარგი ხარისხის სასწავლო გეგმის დოკუმენტები ასახავს მიზნებს, სწავლების შინაარსს, სწავლის სასურველ შედეგებს და მიწოდების შემოთავაზებულ საშუალებებს, რითაც ხელმძღვანელობენ მასწავლებლები, თუ როგორ მიაწოდონ მოსწავლეებს სასწავლო პროგრამა სასურველი შედეგების მისაღწევად. სწორედ აქედან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა იდეალური შესაძლებლობაა განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მეტი ფოკუსირებისთვის.[79]

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია იუნესკოს (UNESCO) სახელმძღვანელო მითითებების ძირითადი ნაბიჯები თავისი შემადგენელი ნაწილებით, როგორც უნდა განხორციელდეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა:

ცხრილი 7. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძირითადი ნაბიჯები თავისი მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ნაწილებით

გენდერული თანასწორობის პრიორიტეტიზაცია ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხები: ↓		
პოლიტიკური ნების არსებობა	ესგ-ის შემუშავების/განვითარების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ცოდნა და გამოცდილება გენდერული თანასწორობის სფეროში	
ეროვნული სასწავლო გეგმის გადასინჯვა/განხილვის პროცესი ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხები: ↓		
პროცესში ჩართული მხარეები უნდა მოიცავდეს შემდეგს: • განათლების სამინისტრო; • სხვა სამინისტროები; •ეროვნული სასწავლო გეგმების ექსპერტები; • მასწავლებელთა ტრენერები; • გენდერის ექსპერტები ან/და გენდერის სპეციალისტები; • სოციალური მეცნიერები; • საგანმანათლებლო ორგანოები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე; • სკოლის დირექტორები და მასწავლებლები; • მშობლები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები; • მოსწავლეები; •NGO-ები, განსაკუთრებით ისინი, ვინც გენდერულ თანასწორობაზე მუშაობს.	მოსწავლეთა გენდერული საჭიროებების მოკვლევის განხორციელება	ფორმალური სასწავლო გეგმის და გამოყენებული სასწავლო მასალების, ასევე საკლასო პრაქტიკის და სასწავლო გარემოს მიმოხილვა

79 Mainstreaming Gender Equality in Curricula and Teaching and Learning Materials, UNESCO, Education 2030.

უზრუნველყოფა, რომ ესგ-ით არ არის გამოხატული გენდერული მიკერძოება და დისკრიმინაცია და შეესაბამება როგორც გოგოების, ასევე ბიჭების საჭიროებებს ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხები: ↓	
<u>სასწავლო გეგმების შინაარსი:</u> • გენდერული მიკერძოებისგან თავისუფალი; • სასწავლო გეგმის გზების არსებობა, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია გოგოების და ბიჭების ჩართვა კონკრეტულ საგენებში;[80] • გენდერზე პასუხისმგებელი შინაარსის არსბობა თანმიმდევრულად განათლების ყველა საფეხურზე.	<u>მასწავლებლებისთვის რეკომენდებული სწავლების მიდგომები და აქტივობები:</u> • გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის გამოყენება კლასში ესგ-ის განსახორციელებლად; • გენდერულად მიუკერძოებელი და გენდერულად მგრძნობიარე აქტივობების რეკომენდაცია.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის სასწავლო მიზნად გათვალისწინება ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხები: ↓	
სასწავლო პროგრამის არსებობა, რაც დაეხმარება გოგოებსა და ბიჭებს გაეცნონ გენდერულ საკითხებს და გახდნენ გენდერული თანასწორობის მხარდამჭერები. არსებობს რამდნიმე მიდგომა: • გენდერული პასუხისმგებლობის მქონე სასწავლო მიზნებისა და შედეგების ინტეგრირება ყველა სასწავლო საგანში; • გენდერული პასუხისმგებლობით სწავლის მიზნებისა და შედეგების ინტეგრირება შერჩეულ „გამჭოლ“ საგნებში; • ერთი კონკრეტული საგნის ფოკუსირება გენდერზე რეაგირების სასწავლო მიზნებსა და შედეგებზე.	

პოლიტიკური ნების არსებობა დადასტურებულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით, რომლის ფარგლებში განათლების სამინისტრომ პასუხისმგებლობა აიღო ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებასა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირებაზე.

სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, ესგ-ის გადასინჯვის პროცესში, რომლის შედეგადაც შეიქმნა მოქმედი მესამე თაობის 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა, ჩართული იყვნენ სკოლის მოქმედი მასწავლებლები, სახელმძღვანელოების ავტორები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები, სამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების პროცესში არ იყვნენ ჩართული გენდერის საკითხებში ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირ(ებ)ი, ასევე არ განხორციელებულა პროცესში ჩართული პირების გადამზადება გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების მიზნით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის სასწავლო მიზნად გათვალისწინებების შეფასებისთვის, გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული საგნობრივი სასწავლო გეგმა და სტანდარტები (კონკრეტული საგნისთვის დადგენილი მოთხოვნები), რომელთა მიხედვითაც იქმნება სასწავლო სახელმძღვანელოები. ვინაიდან სამინისტროს პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირებაზე, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამოქალაქო განათლების საგნების სტანდარტები საგნებისთვის: „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და „სამოქალაქო განათლება“.

UNESCO-ს მიერ შემოთავაზებულია შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის სასწავლო გეგმის საგნ(ებ)ისთვის სასწავლო მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასთან.[81]

80 მაგალითად, სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს მითითებებს მასწავლებლებისთვის, თუ როგორ უნდა ჩართონ გოგოები სამეცნიერო საგნებში.

81 Mainstreaming Gender Equality in Curricula and Teaching and Learning Materials, UNESCO.

გრაფიკი 11. მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასწავლო მიზნები



მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული საგნის სტანდარტი მოიცავს სამიზნე ცნებებს, რომელთა ფარგლებშიც განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში გენდერული თანასწორობის ტერმინი არ არის გამოყენებული, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა სამოქალაქო განათლების საგნების სამიზნე ცნებები და ქვემოთ მოცემულ გრაფიკში იდენტიფიცირებულია ის ცნებები,[82] რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია გენდერული თანასწორობის საკითხებიც მოიაზრებოდეს.

გრაფიკი 12. საგნების მიხედვით გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სამიზნე ცნებები



განხორციელდა სახელმძღვანელოებში აღნიშნული საგნების სამიზნე ცნებებით შესწავლა გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინების მიზნით. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა გამომცემლობის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში განსხვავებულად არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის საკითხები – X და XI კლასის ორ სახელმძღვანელოში – „მოქალაქეობა“, შესულია გარკვეული სახის გენდერული თანასწორობის საკითხები, ხოლო მესამე გამომცემლობის სახელმძღვანელოში – არა. შესაბამისად, იმ სკოლების მოსწავლეები,

82 წითლად აღნიშნული.

რომელთაც თავიანთი სკოლისთვის შერჩეული აქვთ აღნიშნული ორი გრიფირებული სახელმძღვანელოდან რომელიმე, ისწავლიან გენდერული თანასწორობის სხვადასხვა საკითხს, რისი განხორციელებაც შეუძლებელია მესამე გამომცემლობის სახელმძღვანელოს შემთხვევაში.

აღნიშნული განსხვავებების მიზეზი გამომდინარეობს იქიდან, რომ ესგ-ის დოკუმენტის საგნის სტანდარტები პირდაპირ არ უთითებს სამიზნე ცნებებში გენდერულ თანასწორობას და არის განზოგადებული ცნებები, რომელთა ფარგლებშიც გამომცემელს საშუალება აქვს, მაგალითად, სასკოლო საგანში – „მოქალაქეობა“ ადამიანის უფლებების სამიზნე ცნება ისე დააკმაყოფილოს, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები საერთოდ არ განიხილებოდეს სახელმძღვანელოში.

უკეთესი პრაქტიკის გამოვლენის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ასევე შეისწავლა არაფორმალური განათლების ფორმატით, 2022 წელს შემუშავებული პროგრამა „ექიმის საათი“ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის: თითოეული კლასისთვის 8-8 გაკვეთილი. პროექტი ხორციელდება სულ 12 სკოლაში[83] – თბილისსა და საგარეჯოში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით. გაკვეთილების ფარგლებში იფარება ურთიერთობებთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასა და თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები.[84]

ცხრილი 8. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული თანასწორობის საკითხები

„ექიმის საათის“ ფარგლებში სახელმძღვანელოში მოცემული თანასწორობის საკითხები		ეროვნული სასწავლო გეგმით გათვლისწინებული თანასწორობის საკითხები
გაკვეთილი: ჩვენი საყვარელი ფერები მიზანი: თანასწორობისა და გავრცელებული სტერეოტიპების საკითხებზე მსჯელობა	III კლასი	საგნის სამიზნე ცნება: თანასწორობა (სტერეოტიპები) გაკვეთილი: ჩვენ – გოგოები და ბიჭები
გაკვეთილი: საზოგადოებაში გავრცელებული როლები მიზანი: ცნობიერების გაზრდა საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით	IV კლასი	X
გაკვეთილი: ჩვენი საყვარელი საქმიანობა მიზანი: საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გავლენაზე პროფესიებისა და საქმიანობების არჩევაზე	V კლასი	X
გაკვეთილი: ქალის როლი საზოგადოებაში მიზანი: საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გააზრება. ქალის როლის გაცნობიერება	VI კლასი	X

83 სსიპ – თბილისის N54, N123, N150, N108, N8, N113, N23, N182, N4 საჯარო სკოლებსა და სსიპ – საგარეჯოს N1, N3, N4 საჯარო სკოლებში.

84 გაკვეთლებს ატარებს სკოლის ექიმი და საპილოტე კლასის დამრიგებელი.

შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის UNESCO-ს მიერ გათვალისწინებულ გენდერული თანასწორობის საკითხები უკეთესად არის ასახული „ექიმის საათის“ ფარგლებში, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით შემუშავებული ზემოთ აღნიშნული საგნების სახელმძღვანელოები.

შესაბამისად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის უკეთ ინტეგრირების უზრუნველყოფა შესაძლებელია დოკუმენტის გადასინჯვის პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის სათანადო განხორციელებით, რაც მოიაზრებს აღნიშნულ პროცესში შესაბამისი გენდერული ექსპერტიზის მქონე პირ(ებ)ის ჩართვასა და სხვა ჩართული პირების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის გამოყენების წახალისებას, სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადო ინტეგრირებას მოსწავლეთა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.

სასწავლო მასალების შემუშავება/ სახელმძღვანელოების გრიფირება

UNESCO-ს მიხედვით ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა გენდერული მიკერძოებისგან თავისუფალი სასწავლო მასალები. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა რეგულარული გადახედვის გზით უნდა ჩამოაყალიბონ არა მხოლოდ სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, არამედ ქალების მიმართ დაბალანსებული, ზუსტი და პოზიტიური ხედვის წამახალისებელი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები.[85] აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია სასკოლო სახელმძღვანელოების, საგანმანათლებლო, სასწავლო, შეფასებისა და კარიერული გაიდლაინების ავტორთა და გამომცემელთა ცნობიერების ზრდა, ამ მასალების წარმოების პროცესში გენდერული თანასწორობის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი კრიტერიუმად გამოყენების აუცილებლობის მიმართულებით, ასევე სასწავლო მასალების გენდერული თანასწორობის მიმართულებით შეფასების ინდიკატორების შემუშავება და გავრცელება.[86]

საერთაშორისო პრაქტიკით სასწავლო მასალებში გენდერული მიკერძოების მიმართულებით იკვეთება რამდენიმე პრობლემური საკითხი:

- გოგოებისა და ქალების ნაკლები სურათები სასწავლო მასალებში;
- კაცები და ქალები ძირითად წარმოდგენილნი არიან სტერეოტიპულ როლებსა და პროფესიებში;
- კაცები და ქალები ხშირად აღწერილნი არიან გენდერულად სტერეოტიპული მახასიათებლებით;
- ცნობილი ქალების კონტრიბუცია ხშირად იგნორირებულია.

იუნესკოს სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, სასკოლო სახელმძღვანელოების შემოწმების პროცესში, მნიშვნელოვანია რეცენზენტებმა შეიმუშაონ განსახილველ საკითხთა სია (ე.წ. checklist), რათა შეძლონ სასწავლო მასალების თანმიმდევრული შეფასება. სასწავლო

85 UN Committee on the Elimination of Discrimination against Women General recommendation No. 36 (2017) on the Right of Girls and Women to Education, 16 November 2017, C/GC/36, პარ. 27 (d) ქვეპუნქტი იხ. https://bit.ly/2DmxINV 18/10/2022

86 Recommendation CM/Rec(2007)13 of the Committee of Ministers to member states on gender mainstreaming in education.https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805d5287

მასალების შემოწმების შემდეგ მნიშვნელოვანია გაუმჯობესების მკაფიო ინსტრუქციების შედგენა და მათი გაზიარება ყველასთვის, ვინც ჩართულია სასწავლო მასალების წერის, ილუსტრირებისა და გამოცემის პროცესში. ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით წარმოდგენილია აღნიშნული ანალიზისას განსახილველ საკითხთა სიის მოკლე ვერსია.[87]

ცხრილი 9. სასწავლო მასალების შეფასებისას გენდერული თანასწორობის კუთხით განსახილველ საკითხთა სია[88]

ზოგადი მოსაზრებები • ადვილად წასაკითხი და გასაგები სასწავლო მასალები; • გენდერული სტერეოტიპების გაძლიერება/შემცირება; • როლური მოდელები ორივე სქესისთვის.	ქალი და მამაკაცი პერსონაჟების წარმოჩენის სიხშირე • პერსონაჟების რაოდენობა ტექსტებსა და სურათებში; • ქალი პერსონაჟების მახასიათებლები.	ქალი და მამაკაცების პერსონაჟების ბუნება • ქალისა და მამაკაცის როლები (მათ შორის, საოჯახო) და საქმიანობის სფეროები.
ილუსტრაციები • ქალისა და მამაკაცის ფოტოებისა და ილუსტრაციების წარმოდგენის სიხშირე და მოცულობა; • ფოტოებისა და ილუსტრაციების გენდერული მგრძნობელობა; • გენდერული მიუკერძოებლობა.	პირობები • საჯარო და კერძო სივრცეებში ქალი და მამაკაცი პერსონაჟების განაწილება; • მნიშვნელოვან სიტუაციებში ქალი და მამაკაცი პერსონაჟების წარმოდგენის სიხშირე; • ქალი და მამაკაცი პერსონაჟების ხილვადობა სურათებზე, განლაგებიდან გამომდინარე.	შედეგები • ქალი და მამაკაცი პერსონაჟების „არატრადიციული როლები“; • ქალი პერსონაჟები, როგორც ავტონომიური ინდივიდები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2017 წელს შეიმუშავა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოების შეფასების დამატებითი კრიტერიუმი – „შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან“, რომელშიც შედის ქვეკრიტერიუმი – თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა, რომელიც სახელმძღვანელოთა გენდერულ ჭრილში შეფასებასაც მოიცავს:[89]

87 აღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია მოცემულია დანართ 2-ში.

88 Mainstreaming gender equality in curricula and teaching and learning materials – UNSESCO.

89 „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 ივლისის N621 ბრძანება; მოთხოვნა 2: თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა.

- სახელმძღვანელო თავისუფალია ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებისგან;
- საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით.

გრაფიკი 13. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესში 2017-2023 წლებში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები[90]

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა 2018-2023 წლების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები/სერიები. 2018 წელს განხორციელებული დაწყებითი საფეხურის სახელმღძვანელოების გრიფირება არ ითვალისწინებდა პროცესში „სხვა სპეციალისტის“ ჩართვას, ხოლო 2023 წელს „სხვა სპეციალისტის“ მონაწილეობით გრიფირება მიენიჭა დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების მცირე ნაწილს (I-IV კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გარკვეული ნაწილი).

ასევე: აუდიტის ჯგუფმა 2020-2023 წლებში[91] იმ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში, რომლებიც შინაარსობრივი რეცენზირების I ეტაპზევე სრულად აკმაყოფილებდნენ ქვეკრიტერიუმს – თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა, გამოავლინა 16 სახელმძღვანელო, რომელთა რეცენზირების პროცესშიც მონაწილეობა არ მიუღია სხვა სპეციალისტს. [92] სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული სახელმძღვანელოების რეცენზირებების რიგ შემთხვევებში სხვა სპეციალისტის ჩართვა არ მოხდა შესაბამისი უცხო ენის მცოდნე სპეციალისტის ვერმოძიების გამო.

ამასთანავე, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოების ნაწილშიც, რომელთაც გავლილი

90 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის N1409417 ბრძანება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები.“

91 2018-2019 წლებში გრიფირების პროცესი არ ითვალისწინებდა რეცენზირების Iდა II ეტაპებად დაყოფას.

92 2020 წლის 11 რეცენზირება (ID ნომრები: 1305, 1313, 1317, 1344, 1350, 1351, 1359, 1367, 1378, 1379, 1397); 2021 წლის 1 რეცენზირება (ID ნომერი: 1505); 2022 წლის 2 რეცენზირება (ID ნომრები:1603, 1645); 2023 წლის 2 რეცენზირება (46, 60).

აქვთ სხვა სპეციალისტის შეფასება აღმოჩნდა გარკვეული ხასიათის ხარვეზები გენდერული თანასწორობის მიმართულებით,[93] რომელთა შეფასებაც განახორციელეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა. ორგანიზაციების მიერ შესწავლილ იქნა სახელმძღვანელოების მხოლოდ მცირე ნაწილი და მათში აღმოჩენილი ხარვეზები ზრდის იმის რისკს, რომ სხვა სახელმძღვანელოების დარგის ექსპერტების მიერ გაანალიზების შემთხვევაში იდენტიფიცირებულ იქნეს მსგავსი ტიპის ხარვეზები.

არსებული ნაკლოვანებები შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული კრიტერიუმი არის ზოგადი სახის და დამატებით არ მოიცავს საერთაშორისო კარგი პრაქტიკით მიღებული სახელმძღვანელოების შეფასების დეტალურ მითითებებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით, რისი არსებობაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა რეცენზენტთა მხრიდან კრიტერიუმის ფარგლებში გენდერული საკითხების სრულყოფილ/სათანადო შეფასებას და, მეორე მხრივ, ავტორთა ჯგუფს თავიდანვე მიაწოდებდა დეტალურ ინფორმაციას, თუ რის გათვალისწინებას მოიაზრებს ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა რეეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფისა და ავტორთა ჯგუფის გამოკითხვა,[94] რომ გამოევლინა გამოწვევები სახელმძღვანელოებში აღნიშნული კრიტერიუმის უზრუნველსაყოფად და საჭიროებები აღნიშნული პროცესის გასაუმჯობესებლად. გამოკითხვის მნიშვნელოვანი შედეგები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 10. გრიფირების პროცესში ჩართული მხარეების მიერ დაფიქსირეული გამოწვევები

გამოწვევები/საჭიროებები სახელმძღვანელოებში აღნიშნული კრიტერიუმის უზრუნველსაყოფად:		
ავტორთა ჯგუფი	რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი (გარდა სხვა სპეციალისტ./ფსიქ.)	სხვა სპეციალისტი/ ფსიქოლოგი
ავტორების მხრიდან კრიტერიუმის სწორად გააზრებისთვის დამატებითი რესურსების არარსებობა (გზამკვლევები, ტრენინგები, მაგალითები კონკრეტული საგნების მიხედვით); კრიტერიუმის რეალობასთან შესაბამისობა და შემფასებლებთან სწორი კომუნიკაცია.	მეტი ინფორმაცია, მაგალითები და ტრენინგების საჭიროება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით; სახელმძღვანელოს ავტორთა უფრო მეტი ინფორმირებულობა/ ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე; სახელმძღვანელოების შექმნის შემჭიდროვებული ვადები; საგნის და ეპოქის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეუძლებელია კრიტერიუმის დაცვა.	ავტორების ჯგუფისა და საგნობრივი ჯგუფის ცოდნისა და მგრძნობელობის ნაკლებობა გენდერულ საკითხებზე; მცირე ვადები შენიშვნების გამოსასწორებლად/ სახელმძღვანელოების გადასამუშავებლად; სარეცენზიო კომისიის დანარჩენი წევრების მიერ, სხვა სპეციალისტ./ ფსიქოლოგის რეკომენდაციების/ მოსაზრებების არ გაზიარება და ხმათა უმრავლესობით შენიშვნების არ ასახვა.

93 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მე-7 კლასის გეოგრაფიის, ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და მოქალაქეობის სახელმძღვანელოების რეცენზია; საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული I კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო საგნის – „ქართული ენა და ლიტერატურა“-სთან დაკავშირებით, (25.10.2022 წ.).

94 განხორციელდა 58 წიგნის ავტორის გამოკითხვა, რეცენტთა საგნობრივი ჯგუფი – 109, მათ შორის, სხვა სპეციალისტი და ფსიქოლოგი – 46.

გამოკითხული სამივე ჯგუფიდან უმრავლესობა ფიქრობს, რომ საჭიროა დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების არსებობა სახელმძღვანელოებში აღნიშნული კრიტერიუმის უკეთ ასახვისთვის და ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობას სურვილი აქვს ტრენინგებთან დაკავშირებით, რათა უკეთ უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის კრიტერიუმის ინტეგრირება სახელმძღვანელოებში.

გრაფიკი 14. გრიფირების პროცესში ჩართული მხარეების დამოკიდებულებები დამატებითი სახელმძღვანელო მითითებისა და ტრენინგების საჭიროებასთან დაკავშირებით



აუდიტის ჯგუფმა გამოკითხვებით ასევე გამოავლინა და დააჯგუფა ის საკითხები, რომლებიც გამოკითხულთა აზრით, საინტერესო იქნებოდა მათთვის დამატებით სახელმძღვანელო მითითებებში:

- არასტერეოტიპული/არადისკრიმინაციული შინაარსის მაგალითები სხვადასხვა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- საკონტროლო სიები, რომლებიც ავტორებს/საგნობრივ ჯგუფს დაეხმარება გენდერული მიკერძოების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში;
- ინკლუზიური ენის გზამკვლევი: კონკრეტული რეკომენდაციები ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიყენონ გენდერულად ნეიტრალური და ინკლუზიური ენა;
- ვიზუალური მასალის სახელმძღვანელო: მითითებები ილუსტრაციებისა და ფოტოების შერჩევისას გენდერული ბალანსის დაცვის შესახებ;
- ისტორიული კონტექსტის გაშუქების გზამკვლევი: რეკომენდაციები, როგორ წარმოაჩინონ ისტორიული მოვლენები გენდერული პერსპექტივიდან, ისტორიული სიზუსტის შენარჩუნებით;
- გენდერული სტერეოტიპების კატალოგი: ყველაზე გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების ჩამონათვალი და მათი ალტერნატივები;
- ხშირად დასმული კითხვების სექცია: პასუხები სახელმძღვანელოებში ყველაზე გავრცელებულ კითხვებზე გენდერული თანასწორობის შესახებ.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018-2023 წლებში ავტორთა, რეცენზენტთა, მათ შორის, ფსიქოლოგთა ან/და სხვა სპეციალისტთა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სულ ჩატარდა 5 ტრენინგი.[95] რამდენიმე ტრენინგში მონაწილეობდნენ მხოლოდ კონკრეტული საგნის სახელმძღვანელოების ავტორები. შესაბამისად, სასწავლო მასალების ავტორთა და გამომცემელთა მასშტაბური მოცვა აღნიშნული ტრენინგებით ვერ იქნა მიღწეული.

დასკვნა:

ეროვნული სასწავლო გეგმა კარგი შესაძლებლობაა განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მეტი ფოკუსირებისთვის. საერთაშორისო პრაქტიკით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მოიაზრებს პოლიტიკური ნების არსებობას, აღნიშნულ პროცესში შესაბამისი გენდერული ექსპერტიზის მქონე პირ(ებ)ის ჩართვასა და სხვა ჩართული პირების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის გამოყენების წახალისებას, სასწავლო მასალებში გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადო ინტეგრირებას შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.[96]

სამინისტროს პასუხიმგებელი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებასა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირებაზე. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების პროცესის ნაკლოვანებები, რის გამოც ეროვნულ სასწავლო გეგმაში სათანადოდ ვერ მოხდა გენდერული საკითხების ინტეგრირება.

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის გადასინჯვის პროცესში არ იყო ჩართული გენდერული ექსპერტი, ხოლო პროცესში ჩართული პირების გადამზადება გენდერული თანასწორობის მიმართულებით არ განხორციელებულა. ეროვნული სასწავლო გეგმა პედაგოგებს სთხოვს სწავლა-სწავლება წარმართონ ინკლუზიურად, თითოეულ მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით, თუმცა ეს ზოგადი მოთხოვნა ვერ უზრუნველყოფს მასწავლებლების მხრიდან გენდერული საჭიროებებისადმი მისადაგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნებში განხორციელდა გენდერული თანასწორობის კომპონენტების ინტეგრირება. ამ ჯგუფში შედის სავალდებულო საგნები: „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და „მოქალაქეობა“, რომლებიც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ თანასწორობისა და ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით.

სამოქალაქო საგნების სახელმძღვანელოების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა გამომცემლობის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში განსხვავებულად არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის საკითხები. აღნიშნული განსხვავებების მიზეზი განპირობებულია იმით, რომ ესგ-ის დოკუმენტის საგნის სტანდარტები პირდაპირ/უშუალოდ არ მიუთითებს სამიზნე

95 აღნიშნული ტრენინგები სამინისტროს ინიციატივით დაიგეგმა სხვადასხვა გარე აქტორებთან ერთად (სახალხო დამცველი, არასამთავრობო ორგანიზაციები).

96 Mainstreaming Gender Equality in Curricula and Teaching and Learning Materials, UNESCO.

ცნებებში გენდერულ თანასწორობას და არის განზოგადებული სახით წარმოდგენილი ცნებები, რომელთა ფარგლებშიც გამომცემელს საშუალება აქვს, მაგალითად, სასკოლო საგანში – „მოქალაქეობა“, ადამიანის უფლებების სამიზნე ცნება ისე დააკმაყოფილოს, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები საერთოდ არ იყოს შეტანილი სახელმძღვანელოში.

უკეთესი პრაქტიკის გამოვლენის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების ფორმატით 2022 წელს შემუშავებული პროგრამა „ექიმის საათი“,[97] რომლის ფარგლებშიც უკეთესად არის ასახული საერთაშორისო კრიტერიუმით შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის გაწერილი გენდერული თანასწორობის საკითხები, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით შემუშავებული ზემოთ აღნიშნული საგნების სახელმძღვანელოებში.

ამასთანავე, სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული უთანასწობის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია გრიფირების პროცესის სათანადოდ წარმართვა. გრიფირების პროცესში სხვა სპეციალისტის მიერ, გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული კრიტერიუმის საფუძველზე, სახელმძღვანელოების შეფასება მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა გრიფირების პროცესის გაუმჯობესების პოტენციალი, სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული კრიტერიუმი არის ზოგადი სახის და დამატებით არ მოიცავს საერთაშორისო კარგი პრაქტიკით მიღებული სახელმძღვანელოების შეფასების დეტალურ მითითებებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით, რისი არსებობაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა რეცენზენტთა მხრიდან კრიტერიუმის ფარგლებში გენდერული საკითხების სრულყოფილ/სათანადო შეფასებას და, მეორე მხრივ, ავტორთა ჯგუფს თავიდანვე მიაწოდებდა დეტალურ ინფორმაციას, თუ რის გათვალისწინებას მოიაზრებს აღნიშნული კრიტერიუმი გენდერული თანასწორობის მიმართულებით. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების საჭიროება დადასტურდა აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითვის შედეგებითაც.

ამასთანავე, 2018-2023 წლების გრიფირება მინიჭებული სახელმძღვანელოები/სერიები და გრიფირების პროცესში ჩართული რეცენზენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს გარკვეული სახელმძღვანელოები/სერიები, რომლებსაც არ გაუვლიათ სხვა სპეციალისტის შეფასება.

97 პროექტი ხორციელდება სულ 12 სკოლაში – თბილისსა და საგარეჯოში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით. გაკვეთილების ფარგლებში იფარება ურთიერთობებთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასა და თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N 2

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ უზრუნველყოს:

- ესგ-ის გადასინჯვა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გენდერის საკითხებში ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირ(ებ)ის ჩართულობითა და ასევე, პროცესში მონაწილე პირების ცნობიერების ამაღლება გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების კუთხით;
- საერთაშორისო კარგი პრაქტიკით დადგენილი მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფებისთვის, საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში შესაბამისი გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება.

რეკომენდაცია N 3

გრიფირების პროცესში სახელმძღვანელოების/სერიების გენდერული თანასწორობის ჭრილში შეფასების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს დამატებითი საგანმანთლებლო რესურს(ებ)ი (მაგალითად, როგორიცაა, სახელმღვანელო მითითებები, ტრენინგები და ა.შ.) პროცესში ჩართული პირებისთვის.

5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად

მასწავლებელთა გენდერული მიკერძოება შეიძლება შემცირდეს დამწყები და მოქმედი მასწავლებლების მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამებით, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გადახედონ საკუთარ გენდერულ წარმოდგენებს, დამოკიდებულებებსა და მოლოდინებს და გაეცნონ კლასსა და სასკოლო საზოგადოებაში გენდერულად თანასწორი მოპყრობისა და თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზები.[98]

მასწავლებელთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ საკითხებს:[99]

- მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობის, გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და არსებული ვალდებულებების მიმართულებით;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოლოდინები მასწავლებლებისთვის იმ მოლოდინების, დამოკიდებულებების, ქცევების შესახებ, რომლებიც უნდა გაავრცელონ სკოლაში;
- მითითებებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალის მიწოდების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას;
- იმ სწავლების მეთოდების ანალიზი, რომელიც აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას და მათი გამოსწორების სტრატეგიები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორობა გოგოებსა და ბიჭებს შორის.

აღსანიშნავია, რომ 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმით უნდა განხორციელებულიყო პროფესიული განვითარების ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი საქმიანობები:[100]

- მასწავლებლების პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულების და ხარისხის სტანდარტების გენდერული მეინსტრიმინგი (შესრულების ვადა: 2018წ.);
- დირექტორების პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულების გენდერული მეინსტრიმინგი (შესრულების ვადა: 2018წ.);
- განათლების დარგის ყველა პროფესიონალის ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებში (შესრულების ვადა: 2018-2020წწ.);
- მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება (შესრულების ვადა: 2018წ.).

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ყოველწლიურად, პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში, შეიმუშავებს სხვადასხვა სახის საგნობრივი და გამჭოლი[101] კომპეტენციების ტრენინგმოდულებს. ამასთანავე, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე აირჩიოს ტრენინგმოდული.

---

98 From access to empowerment UNESCO strategy for gender equality in and through education 2019-2025.

99 Education, Gender equality – Canadian International Development Agency (CIDA).

100 სამოქმედო გეგმის მე-12 თავი: „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა“, მოქმედების სფერო – გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში.

101 ზოგადი პროფესიული უნარები.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2018-2023 წლებში ცენტრის მიერ მასწავლებლებისთვის და დირექტორებისთვის შეთავაზებული ტრენინგმოდულები. ცენტრში არსებული პროგრამების შესწავლითა და ტრენინგმოდულების ანალიზით დადგინდა, რომ ცენტრის მიერ არ არის შემუშავებული დამოუკიდებელი გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების ან/და გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის/სწავლების ტრენინგმოდული, რომლის ფარგლებშიც დაიფარებოდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკით გათვალისწინებული ყველა საკითხი და განხორციელდებოდა მასწავლებელთა სისტემური გადამზადება.

მიუხედავად აღნიშნულისა, იდენტიფიცირებულ იქნა ცენტრის განხორციელებული ის ტრენინგები, რომლებიც ფრაგმენტულად მოიცავდა გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასაც. გამონაკლისს წარმოადგენდა ტრენინგი – გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში, რომელიც მეტწილად მოიცავდა მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებისთვის გენდერული თანასწორობის საკითხებს და რომელიც განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ერთჯერადად.

ცხრილი 11. 2018-2023 წლებში ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა გენდერული თანასწორობის საკითხებს

მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების პროექტი ტრენინგმოდული: ○ <u>მოდული 6, თანასწორობის საკითხები:</u> › სესია 1: გენდერული თანასწორობა (2სთ. 20წუთი) › სესია 2: სტერეოტიპებიდან – დისკრიმინაციამდე (1სთ. 20წუთი) › სესია 3: სტერეოტიპული აზროვნება სკოლაში (2სთ.15 წუთი)
სტანდარტებისა და რესურსების პროგრამა ტრენინგმოდული: ○ <u>სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები მასწავლებლებისთვის:</u> › გენდერული სტრუქტურა და ნორმები[102] › გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია › გენდერული ნიშნით ძალადობა (3 – 6 სთ.)
ტრენინგების პროგრამა ○ <u>გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა</u> (დონორის ხელშეწყობით განხორციელებული, ერთჯერადად): › გაცნობიერება გენდერის – სოციალური სქესის, არსი და მნიშვნელობა; › სტერეოტიპების განხილვა, როგორც გენდერული როლისა და დისკრიმინაციის განმსაზღვრელი; › გენდერული როლების ადამიანის უფლებებთან დაკავშირება; › გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შეფასება; › მოქმედი საერთაშორისო ვალდებულებების საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირება; › ნასწავლი თემების საკუთარ გამოცდილებებთან და სამუშაო პრაქტიკასთან მიმართებით გააზრება (8სთ.).

102 აღნიშნული ფერით ტრენინგებში მოცემულია ის საკითხები, რომლებიც ეხმიანება გენდერულ თანასწორობას.

საერთაშორისო პრაქტიკით[103] გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგი ყველაზე ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ ის ინტეგრირებულია დამწყები და მოქმედი მასწავლებლების მომზადება/გადამზადების სასწავლო პროგრამაში. გარდა მასწავლებლებისა, თანაბრად მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის შესახებ

ტრენინგის მიწოდება სკოლის დირექტორებისა და ადმინისტრაციისთვის, რათა ხელი შეეწყოს გოგოებისათვის მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნას.

ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგების ფარგლებში განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები, ვისთვისაც განკუთვნილი იყო აღნიშნული ტრენინგები.

ცხრილი 12. განხორციელებული ტრენინგების სამიზნე ჯგუფების მოცვა

ტრენინგმოდულის დასახელება	სამიზნე ჯგუფი	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოდული 6. თანასწორობის საკითხები	ყველა საჯარო სკოლის დირექტორი და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორი	51%[104]	X	X	X	X	X
სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები მასწავლებლებისთვის	ნებისმიერი საფეხურის ბუნებისმეტყველე-ბის, ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები	X	X	X	X	X	0.1%[105]
გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში[106]	მასწავლებლები[107]	X	X	X	X	3.4%[108]	X

ცენტრის მიერ აღნიშნული ტრენინგების მასწავლებლებისთვის შეთავაზების სიხშირის შესწავლითა და სამიზნე ჯგუფების მოცვის ანალიზით დადგინდა, რომ ტრენინგები არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, მოცვაც საკმაოდ დაბალია და აღნიშნული ტრენინგების შეთავაზება არ განხორციელებულა ყველა მოქმედი მასწავლებლებისთვის. რაც შეეხება დირექტორებისთვის შეთავაზებულ ტრენინგს, განხორციელდა ერთჯერადად 2018 წელს და მოიცვა დირექტორთა 51%.

მასწავლებელთა მხრიდან აღნიშნული დაბალი აქტივობა ტრენინგების მიმართ შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი არ მოითხოვს მასწავლებელთა მხრიდან გენდერული თანასწორობის კუთხით ცოდნის, ცნობიერების ან/

103 Education, Gender equality – Canadian International Development Agency (CIDA).

104 საჯარო სკოლის დირექტორები, სულ – 2086.

105 ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, სულ – 17 719.

106 ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა.

107 პროგრამა მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის – „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ მხარდაჭერით და მოიცვა სამი რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი და გურია. სულ – 453 სკოლა, პროგრამა 1232 მასწავლებელმა გაიარა.

108 მასწავლებლები, სულ – 48 112.

და გამოცდილების არსებობას. გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც აღნიშნული კანონით მოეთხოვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს მოსწავლის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა თავისებურებები (უნიკალურობა).[109]

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა მასწავლებელთა გამოკითხვა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მათი დამოკიდებულებების გაცნობისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.[110]

გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ 23% ძალიან კარგად იცნობს გენდერული თანასწორობის/გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის კონცეფციას საგანმანათლებლო სფეროში, ხოლო 60%-ისთის, გარკვეულწილად ნაცნობია.

დიაგრამა 10. გამოკითხულ მასწავლებელთა ცნობიერება გენდერული თანასწორობაზე



როგორც დიაგრამებშია მოცემული, გამოკითხულთა მხოლოდ 34% იყენებს ყოველთვის გენდერულად ნეიტრალურ ენას კლასში, ხოლო 8%-ისთვის უცნობია გენდერულად ნეიტრალური ენის მნიშვნელობა.

აუდიტის ჯგუფმა ასევე გამოავლინა გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა დამოკიდებულებები და ის საკითხები, რომლებსაც ისურვებდნენ აღნიშნულ ტრენინგში პროფესიული უნარების განვითარებისთვის.

109 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1014 ბრძანება „მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, 2008 წლის 21 ნოემბერი.

110 რეგიონებში სულ გამოიკითხა 126 მასწავლებელი, მათ შორის, 123 ქალი და 3 კაცი.

დიაგრამა 11. მასწავლებელთა დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის ცნობიერების აუცილებლობასთან და ტრენინგებთან დაკავშირებით





ქვემოთ მოცემულ გრაფიკში აღნიშნულია ის საკითხები, რომლებიც გამოკითხულთა უმრავლესობას სურს, რომ შეტანილი იყოს გენდერული თანასწორობის ტრენინგში.

გრაფიკი 15. გამოკითხულ მასწავლებელთა მიერ დაფიქსირებული სატრენინგო საკითხები



დასკვნა:

მასწავლებელთა გენდერული მიკერძოება შეიძლება შემცირდეს დამწყები და მოქმედი მასწავლებლების მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგმოდულების შესწავლით დადგინდა, რომ არ არის შემუშავებული დამოუკიდებელი გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების ან/და გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის/სწავლების ტრენინგმოდული, რომლის ფარგლებშიც დაიფარებოდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკით გათვალისწინებული ყველა საკითხი და განხორციელდებოდა მასწავლებელთა სისტემური გადამზადება. მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლინდა ის ტრენინგები, რომლებიც ფრაგმენტულად მოიცავდა გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასაც, თუმცა აღნიშნული ტრენინგების მასწავლებლებისთვის შეთავაზების სიხშირის შესწავლითა და სამიზნე ჯგუფების მოცვის ანალიზით დადგინდა, რომ ტრენინგები არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, მოცვაც საკმაოდ დაბალია და აღნიშნული ტრენინგების შეთავაზება არ განხორციელებულა ყველა მოქმედი მასწავლებლებისთვის.

მასწავლებელთა მხრიდან აღნიშნული დაბალი აქტივობა ტრენინგების მიმართ შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი არ მოითხოვს მასწავლებელთა მხრიდან გენდერული თანასწორობის კუთხით ცოდნის, ცნობიერების ან/და გამოცდილების არსებობას. გამონაკლისია სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც აღნიშნული კანონით მოეთხოვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს მოსწავლის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა თავისებურებები (უნიკალურობა).

ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადასტურდა, მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებები გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებად და გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, მათთვის სასარგებლო იქნება ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

რეკომენდაციები სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

რეკომენდაცია N 4

მასწავლებელთა გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განხორციელების მიზნით, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად და თანასწორი განათლების პირობების შესაქმნელად, მიზანშეწონილია:

- მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის გადასინჯვა, რათა მასწავლებელთა მიმართ მოთხოვნებში გათვალისწინებულ იქნეს გენდერულად პასუხისმგებლიანი სწავლება;
- შეიქმნას სათანადო ტრენინგმოდული, რომლითაც მოცული იქნება საერთაშორისო პრაქტიკით არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად და აღნიშნულის საფუძველზე სისტემურად გადამზადდნენ მოქმედი მასწავლებლები.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

- პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა;
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია;
- საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N446 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022−2030 და მისი 2022−2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის) სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებში;
- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 წლებისთვის;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N 3 23 0001784517 ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N08/ნ ბრძანება „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ − განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2012 წლის 4 ივნისის N1.1/171 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის კვლევისთვის ინდიკატორთა სისტემის განსაზღვრისა და საინფორმაციო ბაზების სრულყოფის შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 აპრილის N621 ბრძანება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე.“

საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელოები/გაიდლაინები:

- Recommendation CM/Rec(2007)13 of the Committee of Ministers to member states on gender mainstreaming in education, the Statute of the Council of Europe.
- Mainstreaming gender equality in curricula and teaching and learning materials – UNSESCO.
- Guide For Gender Mainstreaming In the Strategic Plans Of Line Ministries And Other State Administration Bodies, UN WOMEN, Sweden Sverige, May 2021.
- A practical guide to integrating the gender perspective into a policy/programming cycle, European Institute for Gender Equality (EIGE);
- Gender in education and training, European Institute for Gender Equality (EIGE);
- Closing the gender gap in STEM education can foster economic growth, European Institute for Gender Equality (EIGE)

- UNESCO strategy for gender equality in and through education 2019-2025.
- Education Gender equality – Canadian International Development Agency (CIDA)
- Integrating a Gender Perspective into Statistics, United Nations New York, 2016.
- Cracking the code: girls' and women's education in science, technology, engineering and mathematics (STEM), UNESCO.
- Promoting Gender Equality through Textbooks, A methodological guide, UNESCO;
- Tool 18: Mainstreaming gender equality in curricula and teaching and learning materials, UNESCO, Education 2030.
- Gender Responsive Pedagogy: A Toolkit for Teachers and Schools, 2nd Edition, UNESCO, Unisef.
- The Gender Responsive Pedagogy Teacher Training (GRPTT) program, Plan International Canada.

პუბლიკაციები/გზამკვლევები/კვლევები:

- გენდერულ თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, UNDP.
- თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო";
- საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, (01.08.2022);
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2022, პირველადი ანგარიში, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ვებგვერდები:

- საქსტატი, გენდერული სტატისტიკა:https://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Education
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო:https://mes.gov.ge/index.php?lang=geo
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:http://tr.tpdc.ge/
- სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა:https://www.emis.ge/
- საქართველოს სახალხო დამცველი:https://www.ombudsman.ge/
- European Institute for Gender Equality (EIGE):https://eige.europa.eu/
- UNESCO Digital Library:https://unesdoc.unesco.org/

აუდიტორები	ხელმოწერა
მარიამ მაჩიტიძე უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	
ზეკა მაისურაძე უფროსი აუდიტორი	
ნიკოლოზ გულიკაშვილი უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

დანართები

დანართი 1. მოსწავლეთა მხრიდან დაფიქსირებული მაგალითები მასწავლებლების მხრიდან განსხვავებული მიდგომა/დამოკიდებულება ბიჭებისა და გოგოების მიმართ

ბიჭების მაგალითები:	გოგოების მაგალითები:
ფიზიკის/ქიმიის მასწავლებლისგან გამიგონია, ბიჭებს უფრო უნდა გაინტერესებდეთ, ბიჭებს უფრო უნდა გესმოდეთ; ხანდახან მსმენია ხაზგასმა, რომ ბიჭს უფრო მოეთხოვება ფიზიკის ცოდნა; ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე მასწავლებელს მეტი კომუნიკაცია აქვს ბიჭებთან როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად.	• ყოფილა შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ფიზიკაში/ქიმიაში შეკითხვების დროს ბიჭებს მიმართავენ, რომ ეს აუცილებლად უნდა იცოდნენ, გოგოებმა კი – ნაკლებად; - მიაჩნიათ, რომ ბიჭებს აქვთ მეტი თანდაყოლილი ნიჭი; მაგალითად, სპორტი გოგოს საქმე არაა, ტექნიკურ საგნებში ბიჭები უკეთესები არიან; - მეტად სერიოზულად აღიქვამენ მამრობით სქესს; მაგალითად, კონკრეტულ საგნებთან დაკავშირებით ჰგონიათ, რომ გოგო უფრო ვალდებულია, რომ ისწავლოს; - ცდილობენ, ბიჭებს უფრო საინტერესოდ აუხსნან ყველა საგანი და დაინტერესება მაღალი იყოს, გოგოებს უბრალოდ გვავალდებულებენ, რომ ყველაფერი ავტომატურად დავიზეპიროთ; - ძირითადად ტექნიკური საგნის მასწავლებლები ბიჭების მხრიდან აქტიურობას მოითხოვენ და ამას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერების მასწავლებლები, პირიქით, გოგოებისგან მოითხოვენ აქტიურობას. პირადად ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია, შრომობ არაფრისთვის; -„ბიჭებს უფრო მათემატიკური ტვინი აქვთ და მეტი შეუძლიათ“; -ძირითადად ისმის შემდეგი სიტყვები: ბიჭები უფრო კარგები არიან მათემატიკაში, გოგოები – ჰუმანიტარულებში; - ხშირად ამბობენ, რომ გოგოებს ჰუმანიტარული საგნები ეხერხებათ, ბიჭებს კი ტექნიკური; - ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლები გოგოებს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ და ჰგონიათ, რომ მათ მეტი შეუძლიათ; - გაკვეთილის ახსნის დროს: ეს ბიჭებს უფრო დაგაინტერესებთო. როგორც მახსოვს, მექანიკაზე იყო საუბარი და მასწავლებლისგან გავიგეთ; - ზოგჯერ, მაგალითად, ავიღოთ სამეცნიერო საგანი, რომელიც მოითხოვს პასუხს რაიმე ტექნოლოგიებზე, ამაში უმეტესად ბიჭებს ეძლევათ უპირატესობა საპასუხოდ.

დანართი 2. დაწყებითი საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოები 2018-2021 წლებში, როცა „სხვა სპეციალისტის“ ჩართულობას არ მოითხოვდა რეცენზირების წესი და 2023 წელს, როცა „სხვა სპეციალისტის“ მიერაც შეფასდა

N	სახელმძღვანელოების გრიფირება 2018-2021 წლები 2023 წელი	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	Vკლასი	VI კლასი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
2	მათემატიკა	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
3	პირველი უცხო ენა (ინგ.)	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
4	მეორე უცხო ენა (რუს.)	n/a	n/a	n/a	n/a	✓ x	✓ x
	მეორე უცხო ენა (გერმ.)	n/a	n/a	n/a	n/a	✓ x	✓ x
5	მე და საზოგადოება	n/a	n/a	✓ x	✓ x	n/a	n/a
6	ჩვენი საქართველო	n/a	n/a	n/a	n/a	✓ x	✓ x
7	ბუნებისმეტყველება	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
8	კომპიუტერული ტექნოლოგიები	x x	x x	x x	x x	x x	x x
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
10	მუსიკა	✓ ✓	✓ ✓	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x
11	ფიზიკური აღზრდა	✓ ✓	✓ ✓	✓ ✓	✓ ✓	✓ x	✓ x
12	ჭადრაკი	x ✓	x ✓	n/a	n/a	n/a	n/a
	ქართული ენა, როგორც მეორე ენა	✓ ✓	✓ x	✓ x	✓ x	✓ x	✓ x
	აფხაზური ენა და ლიტერატურა	✓ x	✓ x	✓ x	✓ x		

დანართი 3. UNESCO-ს მიერ შემუშავებული სასწავლო მასალების შეფასებისას გენდერული თანასწორობის კუთხით განსახილველ საკითხთა სია (ე.წ. CHECKLIST)

ზოგადი მოსაზრებები	• არის თუ არა მასალები ადვილად წასაკითხი და გასაგები? • სასწავლო მასალების რა ნაწილი/ნაწილები უწყობენ ხელს გენდერულ თანასწორობას? როგორ? • სასწავლო მასალების რა ნაწილი/ნაწილები აძლიერებენ გენდერულ სტერეოტიპებსა და მიკერძოებას? როგორ? • უწყობს თუ არა სასწავლო მასალები ხელს გოგოების გაძლიერებას? • მოიცავს თუ არა სასწავლო მასალები როგორც გოგოებისთვის, ისე ბიჭებისთვის როლურ მოდელებს ? • ასახავს თუ არა სასწავლო მასალები ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარ პარტნიორობას? • წარმოდგენილია თუ არა რაიმე ინფორმაცია გენდერული სპექტრის შესახებ? • ხელს უწყობს თუ არა პოზიტიური ღირებულებების გაძლიერებას, რომელიც დაკავშირებულია გენდერული მრავალფეროვნების მიმღებლობასთან? • არსებობს თუ არა რაიმე გენდერული მიკერძოება ან სტერეოტიპი პერსონაჟების წარმოდგენისას ტექსტსა თუ სურათებში?
ქალი და მამაკაცი პერსონაჟების წარმოჩენის სიხშირე	• რამდენი ქალი და მამაკაცია გამოსახული ან ნახსენები ტექსტსა და სურათებში? • როდის და რამდენად ხშირად ჩნდებიან ქალი გმირები მამაკაცებთან შედარებით?
ქალი და მამაკაცი პერსონაჟების ბუნება	• რა სახის აქტივობებში მონაწილეობს თითოეული პერსონაჟი (პროდუქტიული, რეპროდუქციული, საზოგადოებრივი)? • როგორ არიან წარმოდგენილი ქალები და მამაკაცები (აღმზრდელი, მწარმოებელი, ლიდერი, მსხვერპლი), არიან თუ არა განსხვავებული როლებით წარმოდგენილნი? • როგორ ნაწილდება საოჯახო როლები მდედრობითი და მამრობითი სქესის პერსონაჟებს შორის? (მაგალითად, რომელი გმირები ზრუნავენ ან თამაშობენ ბავშვებთან ერთად, ეხმარებიან ბავშვებს საშინაო დავალების მომზადებაში, სახლის დალაგებაში, საჭმლის მომზადებაში, ნივთების შეკეთებაში და ა.შ.), ნაწილდება თუ არა როლები გენდერული სტერეოტიპებიდან გამომდინარე? • რა კონკრეტულ აქტივობებში არიან ჩართულები ბიჭები და გოგოები? რით განსხვავდება მათი საქმიანობა? არის თუ არა თანასწორობა მათ სტატუსებში? ბიჭი შვილები ძირითადად მამებს ეხმარებიან, ხოლო გოგოები დედებს?

ილუსტრაციები	• როგორ არიან წარმოდგენილი ქალები და მამაკაცები სურათებსა და ნახატებში? როგორ არიან წარმოდგენილი ქალები მამაკაცებთან შედარებით, განსაკუთრებით მათი სურათების ზომასა და სიხშირესთან მიმართებით, არის რაიმე სხვაობა? • ილუსტრაციები გენდერულად მგრძნობიარეა თუ არა? გამოხატავენ ურთიერთობებში გენდერულ თანასწორობას ან უთანასწორობას? • წარმოდგენილი არიან თუ არა ქალები და მამაკაცები ილუსტრაციებში თანაბრად კარგად, გენდერული მიკერძოების გარეშე?
პირობები	• სურათებსა და ტექსტში, რა ადგილას მიმდინარეობს აქტივობები, საჯარო თუ კერძო სივრცეში? • რა ადგილებია აღიარებული მნიშვნელოვნად და წარმოდგენილი არიან თუ არა ქალები და მამაკაცები აღნიშნულ ადგილებში თანაბრად; არის თუ არა რაიმე სიტუაცია, სადაც მხოლოდ მამაკაცები ან მხოლოდ ქალები არიან წარმოდგენილი? • რა გავლენას ახდენს თითოეული პერსონაჟის განლაგება სურათზე მის ხილვადობაზე?

შედეგები	• ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან გამოსახული?
	• ქალი პერსონაჟები წარმოდგენილი არიან როგორც ავტონომიური ინდივიდები, თუ მხოლოდ მამაკაცებთან ურთიერთობებისას ჩანან?
	• რა საკითხებია აქტუალური?
	  ○ გოგოების/ქალთა განსხვავებული როლები;
	  ○ ქალები იღებენ ინიციატივას საკუთარი ცხოვრების კონტროლზე;
	  ○ გოგოები/ქალები ეჭქვეშ აყენებენ საკუთარი ცხოვრების პირობებს;
	  ○ გოგოები/ქალები როგორც ლიდერები სკოლაში, სამუშაო ადგილას და საზოგადოებაში;
	  ○ გოგოები/ქალები წარმოდგენილი არიან როგორც ბიჭების/ მამაკაცების თანასწორი პარტნიორები;
	  ○ ქალები და მამაკაცები არატრადიციულ საქმიანობაში და გოგოები და ბიჭები არატრადიციულ როლებში.

შემაჯამებელი ანალიზი	• შინაარსი რეალისტურია შენი საზოგადოებისთვის ქალისა და მამაკაცის როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ? • რა სახის როლური მოდელებია წარმოდგენილი გოგოებისა და ბიჭებისთვის? არსებობს რაიმე განსხვავება? • სწავლებისა და სასწავლო მასალების შედეგად, ხედავთ რაიმე ცვლილებას საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ? რა არის ეს ცვლილებები? • იქნება თუ არა შესაძლებელი აღნიშნული ცვლილებების განხორციელება შენს საზოგადოებაში, რატომ – დიახ ან რატომ – არა? • სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას? • როგორ უზრუნველყოფს სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები თანაბარ პარტნიორობას ქალებსა და კაცებს, გოგოებსა და ბიჭებს შორის? • სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები აძლიერებენ გენდერულ სტერეოტიპებს, თუ კი, როგორ? • არის რაიმე, რისი გაუმჯობესებაც შესაძლებელია სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებში, რათა ისინი გახდეს გენდერულად უფრო მგრძნობიარენი და უკეთესად უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა?

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE